№ 180 1877—1905 № 180

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დაუბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქენი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით. განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში. ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

თბილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, წარმოდგენილ იქნება:

ჟიდოვკა

ოპერა 5 მოქმ. მუს. გალევისა, თარგმანი ამენისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დუბროვსკაია, ნიკიტინსკაია: ბ-ნნი: გამბა, კარელინი, დრაკული, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი და შეიძი
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
კაპელმეისტერი ი. პ. ფალიაშვილი.
ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს წარმოდ. იქმნება **დუბროვსკი**, ოპ. 5 მოქმ. მუსიკა ნაპრავნიკისა. შაბათს, 8 ოქტომბერს, დანიშნულია სპექტაკლი „გალა“, „ნერონი“, ოპ. რუბინშტეინისა.

ნაფიცი ვექილი
ივანე ზურაბიშვილი
გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41. (3—2)

ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში გიორგიევის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, იყიდება შემდეგი სასწავლო სახელმძღვანელო წიგნები:
1) **სახელმძღვანელო** ან სწავლა სჯულისა, დეკ. ნ. ყუბანეიშვილის შედგენილი, მეხუთე, შესწორებული გამოცემა და უწმ. სინოდისაგან მოწონებული სკოლებში სახმარებლად. ფასი ყდით 30 კაპ.
2) Практическій Курсъ Грузинскаго языка для русскихъ შედგ. პ. მირიანაშვილისა ღირს 60 კაპ.
3) გეოგრაფია იონესიანისა სომხურ ენაზე—50
4) **მოკლე ისტორია საქართველოსი** შედ. ვ. ურუშაძისა ფასი 25 კ.
ზემოჩამოთვლილი წიგნების უმთავრესი საწყობი ხსენებულ მაღაზიაშია და იყიდება ფას-დაკლებით. იქვე იყიდება ყოველ გვარი სამოსწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, სხვადასხვა ენაზე გამოცემული. (4—4).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
უ. ჟ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
ვ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
ვ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ვ. ა. ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ვორონცოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე ჰ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 სუთხეში, ველის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი **ნ. ტუმელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.
ბლეიშხი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.
ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, გორლერის სახლის № 157
ვაწაძე ხფირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.
დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გაროზის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩების კუთხე. სახლი ბარამოვისა № 112.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

საზოგადოებრივი ძალები და ხალხის განვითარება

ხალხის განვითარება შეუძლებელია იქ, სადაც მოქმედი საზოგადოებრივი ძალები არა სჩანან, სადაც ხალხი თავის თავზე არ ზრუნავს და მხოლოდ სხვის მფარველობის და აპეკუნობის იმედით არის დარჩენილი. ის დრო წავიდა, როდესაც ეგონათ, რომ შეიძლება სხვისი გულის მოგებით დამყარდეს საზოგადოების კეთილდღეობა, როდესაც მუხლმოდრეკით შველას და მფარველობას ევედრებოდნენ სხვებს ხალხის სახელით და ეგონათ, რომ ამით ხალხს შესამჩნევ სამსახურსაც უწევდნენ...

ის დრო წავიდა. გამოფხიზლებულმა ხალხმა გამოაცხადა რომ მას სხვისი აპეკუნობა აღარ სჭირია. რომ ის თვითონ შეიძლებს თავის საქმეების გაძღოლას და რომ საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი სჭირია თავის სასამსახუროდ და არა ვექილად გარეშეებთან.

ეს ვექილობა საჭირო ხდება მხოლოდ იქ, სადაც სავექილო საზოგადოება ყოველსავე სასიცოცხლო ძალას მოკლებულია, ვექილად დგება ის, ვისაც ხალხის შემოქმედებითი ძალა არა სწამს.

ამნაირი ვექილები ახლაც ბევრია. როგორც უწინ ქართველ ერის „წარმომადგენლები“ შორს გარბოდნენ და იქ **ბიუროკრატიისაგან** მოელოდნენ ქართველებისთვის წყალობას, ისე ახლა „ახალ წარმომადგენლებს“ სხვისაგან უნდათ უფლებების მიღება,—ხმაც წყალობის სახით,—უნდათ შეატყობანონ მას თავისი ჭირი და ვარამი, გული მოულბონ და „სამართლიანი მოპყრობა“ მოსთხოვონ. მონური გრძნობაა და ნამდვილად ამ მონურ გრძნობით გაჟღენთილი არიან ხშირად ისინიც, ვინც თვითონ უკიჟინებენ სხვებს „ხვეწნა-ვედრების“ პოლიტიკას ვერ ასცდენიხართო.

არა, ხალხის სამსახური ამნაირ „ვექილობით“ არ გამოდგება.

ამნაირ დროში ყოველი ადამიანი, რომელიც აფასებს ხალხის განვითარებას, ვალდებულია, მთელი თავისი ძალღონე მოახმაროს ხალხის სამსახურს. რახან ხალხის მოთხოვნილება მრავალ-გვარია,—ზოგი უფრო მნიშვნელოვანი და ზოგიც მცირე მნიშვნელოვანი,—ამიტომ ხალხის ბუნებრივ განვითარებისთვის აუცილებელია, რომ ხალხის ძირითად უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ცდილობდეს ყოველი საზოგადო მოღვაწე.

რად უნდა, მაგ., ერს, რომ მისი შვილები სხვა რომელსამე ქვეყანაში პროფესორებად იყვნენ და იქ სახელს იხვეჭდნენ, თუ ხალხის უმეტესობას წერა-კითხვის ცოდნაც არა აქვს და ამ ცოდნის შეძენაც არ შეუძლიან,—განა ხალხისთვის უმჯობესი არ არის, რომ მის კეთილის მსურველთა ენერგია მიმართული იყოს შინ, ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებაზე და რომ მხოლოდ ამის შემდეგ ზედმეტი საზოგადოებრივი ძალები მოხმარდეს სხვა ქვეყანაში მეცნიერების განვითარებას...

რად უნდა ხალხს ფუფუნება, როდესაც მას დღიური ლუკმა პური არა აქვს!..

ქართველი ერი ღარიბია ქონებრივად, კულტურულად,—საქმე კი ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. ამიტომ ყოველი გონიერი მოღვაწე ვალდებულია ხალხის ქონებრივი და გონებრივი ძალები სავსებით მოახმაროს ხალხის განვითარებას, მის გაძლიერებას, მის გამოფხიზლებას.

ამ ძალების სხვა რომელიმე საქმეზე დახარჯვა, ისეთ საქმეზე, რომლის შესრულება არა-ქართველსაც შეეძლება ადვილად, ხალხისთვის საზარალოა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ჩამდენმა თუნდაც ბევრი აცხადოს თავის გასამართლებლად: აზრად ხალხის კეთილდღეობა მქონდა, ხალხის გამოსარჩლება მინდოდაო.

მშიერს პური უნდა მიაწოდონ გასაძღომად და არა სხვადასხვა გვარი ტკბილეულობა, რომელსაც უფრო ესტეტიური მნიშვნელობა აქვს. ასევე უნდა ვმსჯელობდეთ ჩვენს საერთო ეროვნულ მდგომარეობაში საზოგადო მოღვაწეობის შესახებაც. იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ის საზოგადო მოღვაწე ჩვენთვის თითქმის სრულიად დაკარგულია, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე არა სდგას და პირდაპირ ჩვენს ხალხთან კავშირი არ აქვს.

კ. ხ.

მუშა ჭიათურაში

ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყანა ვერ მოშორებია წარმოების ძველ წესებს. თუ აღებ-მიცემობას სრულიად კაპიტალისტური სახე მიეცა, წარმოების საშუალება ვერ შეიცვალა და ვერ დაუპირდაპირდა, ვერ შეეფარდა ევროპიულ ხასიათის აღებ-მიცემობას; ჯერაც, თითო-ოროლა შემთხვევას გარდა, გაბატონებულია მუშაობის მამაპაპური ფორმები, რომელთაც, რასაკვირველია, არ შეუძლიანთ გამოიღონ ის ნაყოფი, რომელსაც მოითხოვს უმაღლესი კულტურა; თუ საერთოდ ხალხის მუშაობის წესი ვერ შეიცვალა; თუ ხალხმა ვერ შესძლო ესარგებლნა მოწინავე კაცობრიობის მიერ შემუშავებულ საწარმოვო იარაღებით და ამით თავისი შრომა გაენაყოფიერებინა,—სამაგიეროდ წარმოების ორიოდე დარგში პირდაპირ შემოიჭრა ევროპის კაპიტალი და დაიწყო თავისი ჩვეულებრივი მოქმედება.

ერთი ასეთი დარგთაგანი, სადაც კაპიტალისტური წარმოება დამყარდა, როგორც დამუშავების, ისე აღებ-მიცემობის სფეროში, არის შავი-ქვის საქმე. შავი-ქვის წარმოება ერთი უდიდესთაგანი წარმოებაა ჩვენში. სამწუხაროდ, ამ წარმოებას ნაკლებ აპყრობდა ყურადღებას ჩვენი საზოგადოება, ასე რომ ჯერეც არა გვაქვს მისი ყოველ-მხრივი აღწერა, იგი არაა ყოველ-მხრივ შესწავლილი, რომ საზოგადოებას შეძლება ჰქონდეს ნათლად წარმოიდგინოს ის პირობები, რომელშიაც ეს საქმე არსებობდა და ვითარდებოდა. მაგრამ საკმარისია რამდენიმე დღე გაატაროთ ჭიათურაში, საკმარისია გულდასმით დაუკვირდეთ იქაურ ცხოვრებას, რომ საზოგადო სურათი წარმოიდგინოთ, საზოგადო შეხედულება შეადგინოთ.

ჩვენ შევეხებით აქ მხოლოდ ერთ მხარეს—მუშის მდგომარეობას. ტეხნიკურის მხრით სამთამადნო სამუშაო ერთ-ერთ უმძიმეს სამუშაოს წარმოადგენს. ჯურღმულში ძვრენა, დედამიწის გულში ფოთიალი, სინესტე, სიბნელე, საშიში მდგომარეობა სიცოცხლის მხრივ, ჰაერის უქონლობა — ყველა ეს მაღაროებში მუშაობასთან არის შეკავშირებული. მაგრამ ადამიანის ორგანიზმის ამ გამანადგურებელ მოვლენათ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. და ეს სხვადასხვაობა განსაკუთრებით დამოკიდებულია იმ ურთიერთობაზე, რომელიც დამყარებულია მწარმოებელსა და მუშას შორის. რამდენადაც მუშა უუფლებოა, რამდენადაც ის შეუგნებელი და განკერძოებულია, იმდენად კაპიტალისტს შეძლება ეძლევა შეუბრალებელის სისასტიკით დააწვეს მას კისერზე და უკარნახოს თავისი პირობები. ამ შემთხვევაში არავითარ დაზოგვას ადგილი არა აქვს,—აქ პირდაპირ გამეფებულია საარსებო ბრძოლის ბუნებრივი კანონი: იმარჯვებს ძლიერი, ხოლო ძლიერია კაპიტალისტი, აღჭურვილი შეძლებით, განათლებით, მთავრობის დახმარებით და მეტის მოხერხებით. კაპიტალისტისთვის მუშა მხოლოდ სამუშაო იარაღია, იმ განსხვავებით, რომ უსულო სამუშაო იარაღს კაპიტალისტი უფრთხილდება, როგორც საკუთრებას, ხოლო ადამიანს სრულიად არ ზოგავს, რადგან დღეს თუ ერთი შეალევს სიცოცხლეს მის წარმოებას, ხვალ მეორე დაიჭერს იმავე ადგილს. აქ ადამიანის არსებობა უსულო საგნის არსებობაზე უფრო დაუზოგველია.

ვისაც არ სჯერა, შეუძლიან შებრძანდეს ჭიათურის მაღაროებში და ყოველთვის თავის თვალით დაინახავს გრძელ ხვრელს, რომელსაც სიმაღლე ორ არშინამდე აქვს და იმდენივე, თუ ცოტა მეტი, — განი, წარმოუდგენელ ლუსკუმაში გზას გიჩვენებთ უბრალო ჭრაქი, რომლის სული ისედაც მცირე და დანესტიანებულ ჰაერს სწამლავს. ხვრელში ალაგ-ალაგ მუხლამდე წყალი დგას. აი, ამ პირობებში მუშაობს ადამიანი. მეტი ჯაფისაგან ოფლი წურ-წურით ჩამოსდის, ხოლო დედამიწის სინესტე მის გაალმურებულ სხეულზე მოქმედობს,—მას აცივებს და სიცოცხლეს უმოკლებს. ხშირად მაღარო, რომელსაც საკმაო თვალ-ყურს არ ადევნებენ და არ ამაგრებენ, ჩამოწვება ხოლმე და ცოცხლად ჯურღმულში ჩამარხავს ლუკმა-პურის მაძებარ მუშას.

ამნაირად არა ერთი მუშა ესალმება სიცოცხლეს და, თუ პირდაპირ ფიზიკურ შემთხვევით არ კვდება, დიდხანს მაინც ვერ სცოცხლობს, რაც უნდა მძლავრი აგებულობა ჰქონდეს. განსაკუთრებული ხელშემწყობი პირობები უნდა იყოს, რომ მუშამ გაძლოს ამ მაღაროებში სამი-ოთხი წელიწადი. ეს მცირედი დროც საკმარისია, რომ ის დასნეულდეს და ინვალიდთა რიცხვში ჩაითვალოს. დაუმატეთ ამ აუტანელ პირობებს ბინის უქონლობა, ფარღალალა თავლაში ცხოვრება, საზრდოს უვარგისობა, მადნეულის მტვერი, რომელიც სასუნთქ ორგანოებს ავსებს და ადამიანს მუდმივ აქუქყიანებს, და თქვენ დაახლოვებით მაინც წარმოიდგენთ, თუ როგორს სამძიმო პირობებში იმყოფებიან ჭიათურის მაღაროების მუშები.

უმჯობესი არაა სამუშაო პირობების სოციალური მხარეც. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ჭიათურაში გამეფებული იყო ეგრედ წოდებული „სკიდკის“ სისტემა. ეს სკიდკა ისე ჩაეკრა წარმოებას, რომ კიდეც დაკანონდა. ჩვეულებრივ სავალდებულო იყო მეათედის დაკლება, ასე რომ ყოველ ათ ფუთში ერთი უფასოდ მიჰქონდა კაპიტალისტს. მაგრამ განა მეათედს სჯერდებოდა? „მოხერხებული“ ამწონი, გამოცვეთილი თავის საქმეში, ხშირად მესამედსაც დააკლებდა მუშას. მახსოვს, ერთმა მწარმოებელმა საჯაროდ აღიარა: ოთხი მილიონი ფუთი შავი ქვა მაქვს დამუშავებული, აქედან ერთი მილიონი სკიდკას შეადგენსო. ასეთი იყო ეს საარაკო მტაცებლობის წესი.

ნარდათ მუშაობას, რომელიც წინეთ საჟნობის კვალობაზე იანგარიშებოდა, ხოლო შემდეგ დამხადებულ ქვის წონის მიხედვით ანგარიშობდნენ, თან ახლდა მისი განუყრელი თვისება—სამუშაო დღის განუსაზღვრელობა. ნარდად მომუშავე წელებზე ფეხს იდგამდა, არ ისვენებდა, სანამ მთლად არაქათი არ გამოელეოდა, და კი ვერ ამჩნევდა, რომ თავის ასეთი მოქმედებით, ის, არამც თუ არ ადიდებდა თავის სამუშაო ქირას,—პირიქით, კიდევ უფრო ქვევით სწევდა, რადგან გადამეტებულად დამუშავებულ მადნეულობას ფასი უვარდებოდა. თუ ვინმე დღიურად მუშაობდა, არც ის იყო სანატრელ მდგომარეობაში მისი სამუშაო ქირა იყო დღეში ოთხი, ექვსი აბაზი კარგ დროს, ხოლო კრიზისების ხანებში—კიდევ ნაკლები.

აქვე უნდა დავუმატოთ სამუშაოს მოძებნის სიძნელე. წარმოება რამდენიმე ათ ვერსზეა გაბნეული. რა ქნას მუშამ? რა იცის, სადაა სამუშაო? და, აი, არა ერთ დღეს დახეტიალობს ის, რომ საქმეს წააწყდეს და ორიოდე გროში იშოვოს.

აქ ძნელია ჩამოთვლილოს კაცმა ყველა ის პირობები, რომელშიაც ჩაყენებული იყო მუშა. მხოლოდ ერთი რამ ცხადია: ყოველი პირობა მის წინააღმდეგაა მიმართული. ის არის განკერძოებული და სავსებით მწარმოებლის კლანჭებშია. ამავე დროს მწარმოებლები სარგებლობენ თავის საერთო დაწესებულებით,—„სიეზდით“ და საბჭოთი. მწარმოებლებს საშუალება აქვთ საერთო ძალით დაიცვან თავისი ინტერესები.

იფიქრებთ, მწარმოებლები საერთო კრებებზე მაინც მიაქცევდნენ ყურადღებას მუშების მდგომარეობას და რამეს იღონებდნენო. რომ გადაათვალიეროთ „სიეზდის“ ანგარიშები, დარწმუნდებით, რომ მწარმოებლებს არავითარი არსებითი გაუმჯობესება არ შეუტანიათ მუშათა მდგომარეობაში თავის ინიციატივით, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. მწარმოებლის მხოლოდ ერთი მთავარი მისწრაფება, დევიზი აქვს: რაც შეიძლება მეტი მოგება, ხოლო ეს მოგება ვერ ურიგდება ვერც სამუშაო ქირის აწევას და ვერც მუშებისთვის ხარჯების გაწევას...

დრო მიდიოდა, ხოლო მუშის მდგომარეობა, გაუმჯობესების მაგიერ, სულ უარესდებოდა. მაგრამ ცხოვრების პირობებმა საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა. განცალკევებული მოქმედება და მისი თანმყოლი უძლურება თანდათან ისპობა,—მუშები ერთდებიან საერთო ინტერესების დასაცველად. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მუშებმა ჩვეულებრივს ზომებს მიმართეს. 1903 წელს გაიმართა გაფიცვა. აძის შემდეგ თანდათან მუშების შეკავშირება და სოლიდარული მოქმედება ძლიერდება. მაგრამ ამ შეკავშირებას და სოლიდარულ მოქმედებას თავის ინტერესების დასაცველად, მუშები ვერ ახერხებენ დაუბრკოლებლად, მათ გზაზე ელობება ჩვეულებრივი ძალა, რომელიც ებრძვის ყოველგვარ მოქალაქობრივ ცხოვრების გაძლიერებას და განსაკუთრებით მუშების საერთო მოქმედებას. მით უფრო აუცილებელი გახდა შეკავშირება და მედგარი მოქმედება. ფაქტები გვიჩვენებს, რომ მუშები ამ მხრივ სავსებით დაადგნენ გარკვეულ გზას, რომელიც შეუძლებლად ხდის ძველ პირობების დაბრუნებას და უზრუნველჰყოფს შემდეგში მუშათა ინტერესების დაცვას.

რასაკვირველია, საერთო გამოფხიზლებას და შეგნებულ მოქმედებას თან უნდა მოჰყვეს შექმნა შესაფერ დაწესებულებათა, რომელნიც თავის მოქმედებით გაუძლევებიან მუშათა ინტერესებს და მოსპობენ წარმოების იმ ბარბაროსულ წესს, რომელიც დღემდის ასე სჩაგრავდა და აჩანაგებდა მშრომელთა ძალას..

მ

რუსეთი 1730 წელს

რუსეთის წარსულ ისტორიაში არა ერთი მაგალითი ყოფილა იმისი, რომ ხალხი, თვითმპყრობელობის ბატონობით შეწუხებული, ითხოვდა უფლებებს სახელმწიფოში. მართალია, წინეთ ყოველივე ამნაირ შემთხვევაში მომქმედ ძალად არ გამოსულა ხალხი იმ სახით, რა სახითაც ჩვენ იგი გვყავს წარმოდგენილი ამ ჟამად. ბატონყმობის არსებობა საზოგადო ცხოვრების გარეშე სტოვებდა ხალხის უმეტესობას,—გლეხობას, რომელიც თავად-აზნაურობის ხელში კერძო საკუთრებასავით ითვლებოდა და ერთმანეთში დაქსაქსული, სწავლა-განათლებას მოკლებული, მოკლებული საერთო მოქმედების შეგნებას, დილიდან მოკიდებული საღამომდის შრომობდა მემამულეთა გასამდიდრებლად. იმ დროს ხალხად ითვლებოდა მხოლოდ თავად-აზნაურობა, ხალხის სახელით გამოდიოდა თავად-აზნაურობა, ხალხისთვის, ესე იგი თავისთვის, მოითხოვდა უფლებებს იგივე თავად-აზნაურობა.

მაგრამ ეს თავად-აზნაურობაც ერთმანეთში შეკავშირებული არ იყო. წვრილფეხა აზნაურობა ვერ ურიგდებოდა სასახლის ბრწყინვალებას შეჩვეულ დიდებულებს და საჭიროდ სთვლიდა თვითმპყრობელობის მოსპობასთან ერთად მოესპო დიდებულების გაბატონებაც. ეს განხეთქილება შექმნა იმის მიზეზი, რომ 1730 წელს განზრახული თვითმპყრობელობის შეზღუდვა არ განხორციელდა.

1730 წ. 18 იანვარს, რომ მოკვდა რუსეთის მეფე პეტრე II, მას შვილი არ დარჩენია და სამეფო ტახტი უნდა გადასულიყო ერთ-ერთ მის ნათესავზე და უახლოებელესი ნათესავი გამოდგა ქალები. ამ გარემოებამ ზოგიერთს დიდებულს,—თავადებს და იმათ, ვინც იმ დროის უმაღლეს რჩევის წევრებად იყვნენ, აფიქრებინა, რომ შეიძლება ხალხსაც მიეღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეთა მართვასა და გამგეობაში. მართლაც, მეფედ შორეულს იწვევდნენ, ისეთ ქალს, რომელსაც მეფობის იმედი არაოდეს არა ჰქონია, რომელიც მოუმზადებელიც იყო მეფობისთვის,—მას აძლევენ მეფობას,—მხოლოდ პირობით, რომ მას თვითმპყრობელობა ჩამოერთმევოდა და გვერდში ამოუდგებოდა ხალხის წარმომადგენლები, ახალი საზოგადოებრივი ძალები, თავად-აზნაურობა და ამ თავად-აზნაურობის სურვილთა გამომხატველი საბჭო.

იმ დროის აზროვნებისთვის მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ხალხის გაბატონების გამართლება მიაჩნდათ საჭიროდ, უნდა „დაეხმაროსო“ დედოფალს, რომელიც გამოუცდელი არის—დემოკრატიული აზროვნება მაშინდელ საზოგადოებისათვის უცხო იყო. ან რა ნაირად შეეძლოთ მათ მოეთხოვათ ხალხის გაბატონება, როგორც ხალხის „უფლება“, როდესაც ხალხად სთვლიდნენ მხოლოდ თავის თავს და ხალხის ნამდვილი უმეტესობა ჰყავდათ ყმებად, დამონებული. თავად-აზნაურთა მაშინდელ მოძრაობას სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი მხოლოდ თავისთვის ცდილობდნენ, მათი მისწრაფება იყო ეგოისტური და სწორედ ამიტომ შეიქმნა ყოველივე შეთანხმება, როდესაც მათში სხვადასხვა ჯგუფმა სხვადასხვა-ნაირი მოთხოვნილება წამოაყენა. ბრწყინვალე თავადობა და უმაღლესი რჩევა ცდილობდნენ მთელი სახელმწიფო უფლება შეერჩინათ ამ რჩევისათვის, წვრილ-ფეხა აზნაურობა თავის წარმომადგენელთა მოწვევას ითხოვდა და რჩევის გაუქმებას.

რა პოლიტიკური იდეალი ჰქონდა იმ დროის საზოგადოებას, სად იძენდა იგი პოლიტიკურ ცოდნას, რომელიც აკლდა შინ, რუსეთში? მოძრაობის მეთაურები განსაკუთრებით შვეციის კონსტიტუციას მისდევდნენ.

საზოგადოების პოლიტიკური პროგრამმა იყო შემდეგი: ხელმწიფეს უფლება არ უნდა ჰქონოდა საზოგადოების დაუკითხავად დაეწყო ომიანობა, ან ზავი ჩამოეგდო, შემოეღო რამე გადასახადი, გაეწესებინა მოხელეები, უფროსობა გაეწია ჯარისთვის, გაეწია რამე ხარჯები და საზოგადოდ ხალხის დაუკითხავად წაძღოლოდა სახელმწიფო საქმეებს. ამ პირობების დამრღვევ ხელმწიფეს ჩამოერთმეოდა მეფობა. მხოლოდ უმაღლესი თავადობა საზოგადოებად ამ შემთხვევაში თავის თავს რაცხავდა და წვრილფეხა აზნაურობა კიდევ თავის თავს. თავადებს უნდოდათ, რომ მეფე ყველაფერში უმაღლეს რჩევისაგან ყოფილიყო დამოკიდებული, ვინაიდან ეს უმაღლესი რჩევა ამ თავადების სურვილებს გამოხა-

ტავდა. აზნაურები კი ითხოვდნენ, რომ მეფეს მოეწვია მათი წარმომადგენლები, „ასი კაცი მაინც“ და რომ ამ ას კაცს შეემუშავებინა სახელმწიფო მართვა და გამგეობის წესები.

მათ საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაზე შესამჩნევი გავლენა ვერ იქონიეს, რადგანაც ხალხი განზე იყო გაჩერებული. ხალხისთვის სულ ერთი იყო, გაბატონდება მაზე მეფე თუ საზოგადოების ერთი რომელიმე ნაწილი. ამ მომქმედ ნაწილისათვისაც საჭირო იყო მხოლოდ ზოგიერთი ახალი ცვლილება, ზოგიერთი შეღავათი და ვისგან მიიღებდა იგი ამ შეღავათებს და ამ უფლებებს, ამას არავითარ ყურადღებასაც კი არ აქცევდა, ამიტომ, როდესაც მეფე დაჰპირდა აზნაურებს, რომ მათს ზოგიერთს სურვილს აასრულებდა, თითქმის ყველა ისევე თვითპყრობელობას მიემხრო. მათი განმათავისუფლებელი მისწრაფება მოსატყუილებელი გამოდგა,—ჯერ კიდევ დიდხანს უნდა აეტანა ხალხს თვითმპყრობელობის რეჟიმი, 170 წელიწადი უნდა გასულიყო კიდევ, უნდა მოსპობილიყო ბატონყმობა, ხალხის უმეტესობა უნდა გამოფხიზლებულიყო, ხალხს უნდა მოეთხოვა თავისთვის უფლება და მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი წარმომადგენლების მოწვევაზე ხმის ამაღლება, და ხალხის გამარჯვებაც აღარ გახდებოდა საეჭვო.

—*

ჟურნალ-გაზეთებიდან

გამოფენა იაპონიაში. იაპონიამ უკვე ხუთჯერ გამართა ეროვნული გამოფენა. ამ ჟამად ტოკიოში მეექვსე გამოფენის გამართვას აპირობენ. იაპონელებს ჯერ საქვეყნო გამოფენის გამართვა უნდოდათ, მაგრამ ამ აზრს თავი დაანებეს, რადგან საქვეყნო გამოფენა მეტად ძვირად დაჯდებაო. მაგრამ ეროვნულ გამოფენასაც დიდი მნიშვნელობა ექნება; რადგან რუსეთის დამარცხების შემდეგ იაპონია აღმოსავლეთის ბატონი გახდა, ამიტომ მთელი ქვეყანა დიდ ყურადღებას მიაქცევს მომავალ ეროვნულ გამოფენას. ამ გამოფენაზე დიდ მონაწილეობას მიიღებს მთელი აღმოსავლეთი: ჩინეთი, მანჯურია, კორეა, ფილიპინები და ინდო-ჩინეთი.

ქალთა საარჩევნო უფლება. შარშან გერმანიაში შესდგა ერთი კავშირი, რომელსაც მიზნად ქალებისთვის საარჩევნო უფლების მოპოება ჰქონდა. ამ დღეებში ამ კავშირს ბერლინში პირველი საზოგადო კრება ჰქონდა. ქ-ნმა გეიმანმა მეტად საინტერესო მოხსენება წაიკითხა, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყროს ქალთა კავშირი სხვა პოლიტიკურ პარტიებს. მომხსენებლის აზრით ქალთა კავშირს მხოლოდ ლიბერალთა პარტიის იმედი უნდა ჰქონდეს, რადგან მხოლოდ ეს პარტია თანაუგრძნობს ქალთა მოძრაობას, რომელსაც განსაკუთრებით ბურჟუაზიული სარჩული აქვს და ამიტომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ვერ მივემხრობითო. გეიმანმა ის მაგალითიც მოიგონა, როცა ბელგიის კლერიკალებმა ქალებისთვისაც მოითხოვეს საარჩევნო უფლება, სოციალ-დემოკრატები კი ამას არ მიემხრნენ. მოხსენებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. კრებამ გადასწყვიტა, არც ერთ პარტიას არ მიემხროს და პარტიის გარეშე დარჩეს.

ახალი ამბავი

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი „**ნაკადულის**“ გამოცემა 1 ნოემბრიდან **იკისრა თავ. პ. ი. თუმანაშვილმა**. ჟურნალი გამოვა ქ-ნ მარიამ ივანეს ასულის დემურიას რედაქტორობით, იმავე პროგრამით, თვეში ორჯელ, სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. ჟურნალის ფასი იგივე რჩება, ერთად ორივე გამოცემა წელიწადში—5 მან.

◆ სამსახურის აღსრულების სურვილი შემდეგმა ხმოსნებმა განაცხადეს: გ. თუმანოვმა, ა. ი. ხატისოვმა, რ. ა. იონისიანმა, კ. ა. გონიევმა, მ. ვ. ლუნკევიჩმა, მ. ზ. ქანანოვმა, ი. ს. ალიხანოვმა, ი. ა. შადინოვმა, ა. ენფიანჯიანცმა, მ. ი. მაიერმა, პ. ლოლუხანოვმა, ექიმ ქოჩორიანცმა, დ. ნ. თუმანოვმა, მილოვმა, სულხანოვმა, მელიქ-ბეგლიაროვმა და პსაროვმა.

◆ განჯიდან გვატყობინებენ, რომ კავკასიის ნამესტნიკმა **დაამტკიცა განჯის ქალაქის საბჭოს არჩევნების პროექტი**. 1906—1909 წლის არჩევნებში, არჩეულ უნდა იქმნას 50 მაჰმადიანი ხმოსანი და 10 სომეხი. აქამდისინ განჯის ქალაქის საბჭოში ხმოსნების $^{2}/_{3}$ სომხები იყვნენ.

◆ 25 სექტემბრიდან ადგილობრივ გიმნაზიის სადგომში მოწაფეები კრებებს მართავენ და ბჭობენ სახელმწიფო სათათბიროზე, კავკასიაში ერობის შემოღებაზე და გიმნაზიაში ადგილობრივ ენების ვრცელი პროგრამით სწავლებაზე. მოწაფენი თხოულობენ აგრეთვე, გიმნაზიის საქმის მწარმოებლის დათხოვნას, რომელსაც ჯაშუშობას სწამებენ. ამის გამო მოწაფეები გიმნაზიაში უწესრიგოდ დაიარებიან. საერთო გაფიცვას ელიან.

◆ გუშინ, 4 ოქტომბერს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის სულთან-კრიმ-გირეის და აუარებელ მოწაფეთა თანადასწრებით, **გადახდილ იქმნა პანაშვიდი** მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის ტრუბეცკოის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ამ გიმნაზიის სიტყვიერების მასწავლებელმა ბ-ნ დერჟავინმა.

◆ ქალაქის მოურავის მოადგილემ, თავ. ჩერქეზიშვილმა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწეს ბ-ნ მანუილოვს **სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა** თავ. ს. ნ. ტრუბეცკოის გარდაცვალებისა გამო და სთხოვს ქალაქის გამგეობის მხრივ მიუსამძიმროს თავ. ტრუბეცკოის ქვრივსაო.

◆ ტფილისში დაბანაკებული **კაზაკები ქალაქიდან გაიყვანეს**. კაზაკებს გორის მაზრაში სხვადასხვა სოფლებში დაანაწილებენ.

◆ „ვოზროჟდენიას“ ნამდვილ წყაროებიდან გაუგია, რომ **კავკასიის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ საკითხს** სათათბიროს პირველ სესსიაში განიხილავენ.

ტფ. სახაზინო თეატრის ანტრეპრენიორმა ლ. დ. დონსკოიმ თეატრის დირექციას განუცხადა, დღევანდელ მდგომარეობის გამო ტფილისში **ოპერის საქმე კარგად ვერ წავა**, ამიტომ ამ საქმეს თქვენ თვითონ დაუდეგით სათავეში მე კი ხელოვნურ მხარის გამგედ ვიქმნებიო.

◆ ჯამაგირების მიუღებლობისა გამო, ორშაბათიდან **გაიფიცნენ სასინოდო კანტორის უნცროსი მოხელენი**.

◆ ქუთაისის მცხოვრების **ივ. ბერიკაშვილის საქმე**, რომელსაც გოროდოვოის გლავაცკის მოკვლა ბრალდება, გასარჩევად ტფ. საოლქო სასამართლოს გარდაეცა.

◆ მეორე გიმნაზიაში **ქართულ ენის მასწავლებლად** მიიწვიეს **ბ. ხრამელაშვილი**.

◆ ორშაბათს, 3 ოქტომბერს, ექიმ ა. რ. ფიშერის თავმჯდომარეობით, **შესდგა კრება** კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთა. კრების დაწყებისას ექიმმა ფიშერმა წარმოსთქვა სიტყვა მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის ტრუბეცკოის შესახებ. კრებამ ერთხმად დაადგინა გაეგზავნოს მის სახლობას და უნივერსიტეტს სამძიმრის დეპეშა. შემდეგ ამისა ექიმებმა ე. მ. სობესტიანსკიმ და ვ. ა. ზაკრჟევსკიმ წაიკითხეს თავისი მოხსენებანი და გამოკვლევანი. დასასრულ ამ საზოგადოების ნამდვილ წევრებად არჩეულ იქმნენ ექიმები ელჩიევი და შავერდოვი.

◆ როგორც გუმბრიდან გვატყობინებენ, 3 ოქტომბერს. საღამოს 10 საათზე, როცა მატარებელი № 75 გაუსტუმრებიათ, ვიღაც უცნობი თავს დასცემია ჟანდარმთა ვახმისტრს ანდრეევს, რომელიც მეუღლითურთ შინ ბრუნდებოდა. ანდრეევისთვის უსროლიათ სამჯერ და მძიმედ დაუჭრიათ, ხოლო ცოლი კი, რომელიც ქმარს წაშველებია, მოუკლავთ. მკვლელი ვერ გაქცეულა.

◆ ის ხმა, ვითომც ქალაქის სამეურნეო და სხვა საქმეების გამგედ **ინიშნება სტეპანოვიო, სიმართლეს მოკლებულია**.

◆ **სახალხო სკოლების დირექტორმა შემდეგი წინადადება მისცა** ქალაქის გამგეობას; რადგან ნამესტნიკმა ბრძანება გასცა, რომ სწავლების სახელმძღვანელოდ მიღებულ იქმნას 1881 წელს შემუშავებული გეგმა, რომელიც სწავლას ამყარებს სამშობლო ენაზე და სახელმწიფო ენასაც საკმაო ადგილს უთმობს, გთხოვთ მაცნობოთ ქალაქის სკოლებში რა გვარად უნდა განხორციელდეს ეს გეგმა. ჩემის აზრით კი, სწერს დირექტორი, კარგი იქმნება, რომ ეს პროგრამა ახლავე შემოღებული იქმნას, იმ სკოლების დაბალ კლასებში, სადაც მოწაფეთა ეროვნება უკვე ცნობილია.

◆ მანგლისიდან გვატყობინებენ, რომ თიანეთის მცხოვრებმა გიორგი მინასაშვილმა მოჰკლა სახაზინო ტყის მცველი გიორგი ნაცვლიშვილიო.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულის“ მე-XXII ნომერი (მცირე წლოვანთათვის) და დამატება „პედაგოგიური სურათი“ მე-V ნომერი. შინაარსი პირველისა: მამა და დათიკო (ლექსი) ი. ევდოშვილისა; ქურდობა დ. დ—შვილისა: მსაჯული ყიყინა და ცრუხა—თ. კა—კისა; ფუღაფრის მეფეზე ექიმი (თარგმანი) დ. დეკანოზიშვილისა. ურია და მოხუცი (თარგმანი) დიმიტრისა, და სახალისო სამუშაო და გასართობი. შინაარსი მეორისა: პსიხოლოგიური წერილები—შ. ჩიტაძისა და დაწყებითი სკოლის ახალი გეგმა—შ. სურგულაძისა.

◆ ადმინისტრაციის წესით გადასახლებულთ ბეიუში—ალი—ოღლის, რუსტამ ჰასან ოღლის და ალი იუზბაში აბდულა—ოღლის ნამესტნიკმა კავკასიაში დაბრუნების ნება მისცა.

◆ სინოდი სწერს ეპარქიის უფროსებს,—ეპისკოპოსებსა და არქიელს, რომ უსახსრობისა გამო სინოდს ჯერ-ჯერობით ნუღარ ითხოვთ მღვდლებისათვის ჯამაგირების დანიშვნასაო.

მკითხველთა საყურადღებოდ

როგორც მოგეხსენებათ, წელს ქართველებსაც მოგვეცეს ნება ქართულ ენაზე სახალხო კითხვების გამართვისა. დღემდის კითხვის გამართვა მხოლოდ რუსულ ენაზე იყო ნებადართული ისიც იმ წიგნების წაკითხვისა, რომლებიც განსაკუთრებულ ცენზურას გამოივლიდნენ. ახლა კი შეიძლება გადაეცეს ხალხს შინაარსი ყოველ საზოგადოდ ნება-დართულ წიგნისა. ცხადია, რომ კითხვებს დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხის გათვითცნობიერებისთვის, და ამიტომ ჩვენც ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ მათ ჯეროვნად მოსაწყობად. ამისთვის საჭიროა ნივთიერი დახმარება და მკითხველნი.

6-ს ამ თვეს, ქალების მეოთხე გიმნაზიაში, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება ქართულ კითხვების პროგრამის შესადგენად, კითხვების გამმართავ სექციის წევრთა ამოსარჩევად და საზოგადოდ ახალ წევრების ჩასაწერად. (საწევრო ფული სამი მანათია წელიწადში).

ვინც თანაუგრძნობს ხალხს და გული შესტკივა მისთვის, უეჭველია დაესწრება იმ კრებას, რომ, რითაც შეუძლიან, ხელი შეუწყოს ამ ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმეს.

თანამგრძნობი.

ერთი პროექტის გამო.

ამ დღეებში სრულიად შემთხვევით წავაწყდი ერთს რუსულად დასტამბულ პროექტს შემდეგის სათაურით: „პროექტი ამიერ-კავკასიის სასულიერო სასწავლებელთა გადაკეთებისა“. დამეჯერება, რა თქმა უნდა, რომ ეს პროექტი დიდის ხალისით გადავათვალიერე და შემდეგ დიდის გულმოდგინეობით შევუდექი, რამდენადაც ღონე შემწევდა, იმის ავ-კარგისა და ღირსება-ნაკლულევანების შესწავლას. ჩვენში სულ ექვსი სასულიერო სასწავლებელია და, როგორც პროექტის სათაურიდან სჩანს, ექვსივე ეს სასწავლებელი ამ პროექტის თანახმად უნდა გადაკეთდეს და გადახალისდეს. ამიტომ, ვგონებ, ჩვენ მკითხველთათვის ინტერეს მოკლებული არ იქნება, რომ გავაცნო მათ ჯერ მოკლე შინაარსი ამ პროექტისა და შემდეგ ჩემი პირადი მოსაზრებანი იმის შესახებ.

პროექტის პირველ ნაწილში აღნიშნულია ის უკვე არა საიდუმლო და არა საცილობელი ფაქტი, რომ ჩვენის სასულიერო სასწავლებელთა ტიპი აღარ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების მრავალ-ფეროვანსა და მრავალგვარ საჭიროებას, რომ ასეთ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ არც სულისა გაეგებათ რამე და არც ხორცისა და სრულიად უვიცნი და უსარგებლონი გამოდიან ცხოვრებაში. აღნიშნულია აგრეთვე ანტი პედაგოგიური სისტემა და ყველა სხვა ნაკლი და სისუსტე ამ სასწავლებელთა. ერთის სიტყვით, პროექტის ავტორი, რომლის ვინაობაც არა სჩანს, ამტკიცებს იმას, რასაც დამტკიცება აღარ უნდა, ე. ი. არსებულ სასულიერო სასწავლებელთა დანგრევის საჭიროებას, და ამ შემთხვევაში, სიმართლე უნდა ვსთქვათ, საკმაო ნიჭსაც იჩენს. მაგრამ სამწუხაროდ უნიჭობა ეტყობა ავტორს იქ, სადაც ძველ სასწავლებელთა ნანგრევებზე ჰფიქრობს ახალის შექმნას. ხოლო ნებსითია თუ უნებლიეთი ეს უნიჭობა—ეს იმის ნამუსმა იცოდეს.

საჭიროა—ვკითხულობთ პროექტში—არსებულ სასულიერო სასწავლებელთა ყველა ნაკლისა და შეუსაბამობის თავიდგან ასაშორებლად ამ სასწავლებელთა ძირითადი რეფორმა მოვახდინოთ ისე, რომ გადახალისებულმა სასწავლებელმა მისცეს მოწაფეებს: ა) საღი განვითარება საღის პედაგოგიკის მოთხოვნილებათა თანახმად; ბ) ყოველის მხრით დამთავრებულ-დასრულებული ცოდნათა რაოდენობა, რათა განათლების გაგრძობა აუცილებელი საქმე არ შეიქნეს; გ) ყოველი მეოჯახისათვის საჭირო და სასარგებლო სხვადასხვა პრაქტიკული ცოდნა; დ) საშუალება უმაღლეს სასწავლებლებში ე. ი. აკადემიებსა და უნივერსიტეტებში შესვლისა.

აღნიშნულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, პროექტის აზრით, უნდა დაარსდეს სასულიერო-რეალური სასწავლებლები 8 წლის კურსით. პირველ შვიდ კლასში უნდა ისწავლებოდეს შემდეგი საგნები:

1. საღმრთო სჯული, კატეხიზმო ტიბიკონითურთ, საეკლესიო ისტორია საზოგადო, რუსეთისა, საქართველოსი და საზოგადო ღვთის მეტყველება (სწავლება ქართულად). კვირაში 18 გაკვეთილი.
2. რუსული ენა, სიტყვიერება, ისტორია ლიტერატურისა—24 გვ.
3. გეოგრაფია, სამოქალაქო ისტორია—16 გ.
4. არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ფიზიკა—23 გვ.
5. ბუნების მეტყველება (სწავლება ქართულად)—9 გვ.
6. ქართული ენა, სიტყვიერება, ლიტერატურა, გეოგრაფია და სამოქალაქო ისტორია საქართველოსი—20 გ.
7. გერმანული ენა—18 გ.
8. ფრანგული—18 გ.
9. ლოღიკა—2 გ.
10. პსიხოლოგია—3 გ.
11. ფილოსოფია—3 გ.
12. პედაგოგიკა—2 გ.
13. გალობა (რუსული საერო, ქართული საერო და სასულიერო)—8 გ.
14. წერა (რუსული და ქართული)—2 გ.

სულ 168 გაკვ. დღეში 28 გაკვ.

უკანასკნელ მე 8 კლასში მოწაფენი გაყოფილ იქმნებიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იქმნებიან ისინი, ვისაც განათლების გაგრძობა არ სურთ და აგრეთვე,—ვისაც ღვთისმეტყველო კურსებზე უნდათ სწავლა. მეორე ჯგუფში კი სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში წასვლის მსურველნი.

პირველ ჯგუფში ასწავლიან: მედიცინას და ჰიგიენას, სასოფლო მეურნეობას და პრაქტიკულ დიდაქტიკას, ივარჯიშებენ რა სამაგალითო სკოლაში, რომელიც განზრახულ სასწავლებელთან უნდა დაარსდეს. მეორე ჯგუფში კი ყველა ამის გარდა შეისწავლიან ერთს რომელსამე ძველ ენას თავიან სურვილისამებრ.

უკანასკნელ 5 კლასის მოწაფეებმა ნასადილევს უნდა ისწავლონ ხატვა, წიგნების კაზმვა და მუსიკა.

სასწავლებლის კორპორაცია უნდა შესდგეს დირექტორისა, ინსპექტორისა, აღმზრდელთა და მასწავლებელთაგან, რამდენიც საჭირო იქმნება...

რეფორმა სასულიერო სასწავლებელთა, თანახმად ამ პროექტისა, გულისხმობს სასულიერო სემინარიათა სრულიად გაუქმებას და პირველ-დაწყებითი მოსამზადებელ სკოლების დაარსებას 4 წლის კურსით, რომლებშიაც სწავლება უნდა მოეწყოს ქართულად.

სამღვდელო კანდიდატთა მოსამზადებლად დაარსებულ უნდა იქმნას ორ წლიანი ღვთის-მეტყველო კურსები (ცალკე იქნება ეს კურსები, თუ განზრახულ სასწავლებელთან ერთად—ამის შესახებ პროექტში არაფერი არ არის ნათქვამი).

ყოველნაირი ხარჯი სასწავლებლის შესანახად ნაანგარიშევია 18,000 მ. წელიწადში.

ერთის შეხედვით, ეს პროექტი იდეალურად მოეჩვენება ადამიანს. რა გინდა სულო და გულო, რომ განზრახულ სასწავლებელში არ ისწავლებოდეს? მედიცინა და ჰიგიენა, ფსიხოლოგია და ფილოსოფია, სასოფლო მეურნეობა და დიდაქტიკა, ლოღიკა და პედაგოგიკა, რუსული და გერმანიული, ქართული და ფრანგული, ერთ-ერთი ძველი ენაც კიდევ და სხვა რაღა გინდათ. სწავლაა სადილობამდის, სწავლაა ნასადილევს, დღითა, ღამით და ნიადაგ. რა ხელობის კაცი გნებავთ, რომ იქიდგან არ გამოვიდეს? მასწავლებელი, მეურნე, მკურნალი, მღვდელი, დიაკვანი, მეყდე, მხატვარი, ლოტბარი, გადამწერი და სხვა. ხოლო ყოველივე ეს სულ რაღაც 18,000 მ. ჯდება წელიწადში. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ერთობ ძალიან წარმტაცისა და მომხიბლველი ელფერით არის აჭრელებული ზედაპირი ამ პროექტისა და ალბად ამით თუ აიხსნება ის უცნაური ამბავი, რომ სამეგრელოს სამღვდელოებას უკვე სავსებით მიუღია. ამბობენ, იმერეთის სამღვდელოებასაც მიაღებინესო.

— პროექტი კარგია, კარგი დაგვემართოთ, თუ კი ღმერთმა ინება და მთავრობამ დაგვიმტკიცაო. შიშ-ნარევ აღტაცებით მითხრა იმ მღვდელმა, რომელმაც ეს პროექტი მომაჩეჩა ხელში.

ასეთი შიში რომ სრულიად უსაფუძვლოა, ეს თამამად შემიძლია ვიწინასწარმეტყველო და მით დავამშვიდო პატივცემული მოძღვარი და ყველა ისინი, ვინც ამ შიშს იზიარებენ. ასეთ პროექტს ჩვენი ბიუროკრატიული მთავრობა დაამტკიცებს და დიდის სიხარულითაც დაამტკიცებს და, ამას გარდა, პროექტის ავტორსაც, თუ კი იმისი ვინაობა ეცოდინება, დიდ მადლობას შესწირავს.

მართლაც, რა არის ამ პროექტში რადიკალური, პროგრესიული, ანუ ლიბერალური, რომ მთავრობას არ ეპაშნიკოს და არ დაამტკიცოს!

მარტო ის რადა ღირს, რომ ორგანიზაციის შესახებ პროექტში კრინტიც არ არის დაძრული და მაშასადამე სასწავლებლის მართვა-გამგეობა ისევ ძველებურადვე ბიუროკრატიული

ფელეტონი

თვალის მოკვრით

ლ. ანდრეევისა.

ერთის არა სასიამოვნო საქმის გამო მოსკოვში გამიწვიეს და მხოლოდ საღამოს ათ საათზე გავნთავისუფლდი. ცოტა შეზარხოშებული ვიყავ და ცუდ გუნებაზედაც ვიდექ. სხვა საქმე არა მქონდა-რა, მაგრამ სადგურისკენ მაინც მივეჩქარებოდი. ასეთი ჩვეულება აქვს იმ კაცს, რომელსაც ჯიბეში პატარა წიგნაკი უძევს, იქ-კი თვითეულ დღის პირდაპირ აღნიშნულია ადგილები, სადაც დროზე უნდა მივიდეს, — და ვიგინებოდი, ვიგინებდი... სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ვის. მთელს ქვეყანას ვაგინებდი. იმათაც, ვინც მე გამიწვია ამ სულელურ საქმისათვის, ჩემ თავსაც—წამოვედი, ძაღლებსაც, რომელნიც — ვფიქრობდი, აქ უნდა ყოფილიყვნენ, წვიმიან ზაფხულს და ღამის წყვდიადს, რომელიც გარშემო სუფევდა, განსაკუთრებით კი უსწორ-მასწორო, ვიწრო ქუჩებში— შარა-გზის შუა ნაწილი ოდნავ მოსჩანდა, ირგვლივ კი ფეხით სავლელი ვიწრო ბილიკები, მაღალ ხეებით დაჩრდილულნი, ბნელნი იყვნენ და შავნი. შავნი—როგორც ჩემი ფიქრები.

ივნისის უკანასკნელი რიცხვები იყო, მაგრამ რამდენიმე წუთით წინედ, საშინელი ქექა-ქუხილი ასტყდა, ქარიშხალი ამოვარდა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. შავი, ყომრალი ღრუბლები ჯერაც ვერ იძროდნენ ადგილიდან, თითქოს იმათაც ისე ეზარებოდათ დაძრვა თბილსა და ნოტიო ჰაერში, როგორც მე. რამდენიმე წუთი და ისინი დაიძრნენ—დედა-მიწისკენ ზლაზვნით დაეშვნენ—ნავეიანები, ხშირი ცვარები, და არე-მარეს საიდუმლო სისინი მოედო.

ხეები არ ინძრეოდნენ, მხოლოდ, როცა მხარს წაეკრავდი რომელსამე ტოტს ან ფეხით შეავანძრევდი ბუჩქნარს, მეწვეთებოდნენ თბილი და ხშირი წვეთები. თანდათან მივხვდი, რომ სადგურის მაგივრად, სადღაც ეშმაკებში მივდიოდი. ხეებში უცბად ოდნავ გამოჩნდნენ სველი რელსები.

პატარა დახურულ ხის პლატფორმას გარშემო დაბურული ტყე ეხვია. პლატფორმაზე მხოლოდ ერთი ობოლი ფარანი კიაფობდა და ისიც არა თუ აქრობდა სიბნელეს, პირიქით, უმატებდა კიდევაც. კედელზე ერთად-ერთ კუთხეში შემოფლეთილი მატარებლების მიმოსვლის ნუსხა ეკიდა. იქავე მახლობლად ერთი ფეხმიბრუნებული სკამი იდგა, რომელზედაც მე დავჯექი. მატარებლის მოსვლამდე კიდევ ერთი საათი დარჩენილიყო და მეც ვიცდიდი. ასეთის შემთხვევისთვის მე ყოველთვის ან გაზეთი მაქვს, ან წიგნი, მაგრამ ახლა ბნელაში კითხვა არ შეიძლებოდა და არც მე ვიყავ კითხვის გუნებაზე. ეს ჩემთვის უცხო და მოგონილი ხალხი, რომელზედაც გაზეთებში თუ წიგნებში სწერენ, მე დარდებს მიმატებს და შურიანობას მიღვიძებს, რა ჩემი საქმეა, რომ სადღაც ენა-მჭევრები გვრინავენ, სადღაც რომ უშნო-უგულო ხალხში ცხოვრება დუღს, გამარჯვების ჰიმნებს რომ მღერიან და დამარცხებულთ კვნესა კი ცამდე ადის, როცა ჩემს გარშემო ჰაერი შეხუთულია და მე ვირჩობი... ვირჩობი ამ ჯოჯოხეთში... წიგნებში ხომ უარესსა სწერენ: შეთხზული პეტრეები გამოგონილ მარიებს რომ ჰკოცნიან, წყეულ რეალიზმის სახელით ბიწიერება რომ იმარჯვებს და სიმართლე კი ფეხით ითელება! და სულ ერთი არ არის, ჩქარა გავა თუ გვიან დრო? ამ საათების შემდეგ სხვა საათები გაივლიან—და ისინი ხომ უნდა გაატარო, უნდა მოჰკლა! თუ ასეა, რატომ თვითონ არ კვდებიან, მე კი გვამებს დავითვლიდი.

ამ ფიქრებში გართულს, არც კი შემიმჩნევია, რომ პლატფორმაზე ორი არსება გამოსულიყო. ორივე მთვრალი იყო. ერთი მათგანი მაღალი, ხმელ-ხმელ პირისახის მოხუცი იყო, ყვითელ პირის კანით, თხელ-თხელის წვერ-ულვაშით. მოღუშულს, დაღვრემილს პირისახეზე გძელი, მიცვალებულის მინაგვარი წვეტიანი ცხვირი ეჯდა. ამის თანამგზავრს კი ფართო და საზამთროს ნაჭერის მინაგვარი პირისახე ჰქონდა, რომელზედაც საზამთრო თესლების მაგივრად შავი თვალები ტრიალებდნენ. გაკრეჭილ მრგვალ თავზე თეთრი ქუდი ჩამოეფხატა. სქელსა ლბილ ტუჩებს ზემოდ შავი ულვაშები ამშვენებდნენ. მისი ახალგაზდა ტანი რაღაცნაირ ბედნიერების, ნეტარების მოწამე იყო. მოხუცი ჩემს ახლოს დაჯდა და ხრინწიანის ხმით დაიწყო:

— სიმონ სიმონიჩ! სულ დასველებულხართ, გაიწმინდეთ.

— სად წავიდე, ვასილ იგნატიჩ, ბუფეტი არ არის—და.

— ეს თქვენი საქმეა. ურეკდით და გაგეღოთ.

— რა გამიღონ? კედელია.

ახალგაზდამ თითქოს თავის სიტყვების დასამტკიცებლად ხელი შემოჰკრა კედელს, რომელიც ყრუდ გამოეხმაურა.

— აბა რად მაბეზრებთ თავს თქვენის საოცარის კვნესა-გმინვით? ჰკითხა მოხუცმა. მთელი მისი არსება ამ წუთში აღსავსე იყო ზრდილობითა და ირონიით.

— მე კეთილი გულისა ვარ, კეთილ კაცთან მიყვარს ლაპარაკი. თუთუნი მოვწიოთ, მოხუცო.

— თქვენი ნებაა. მაგრამ მე მოხუცი არა ვარ და არც ლოთი-ფოთების ამხანაგი.

— თქვენ კი არ დაგილევიათ, თუ?

— ეს ჩვენი საქმეა.

ორი სხვა ადამიანი, რომელნიც პლატფორმის მეორე მხრით გამოჩნდნენ ამ წუთში, იქვე იდგნენ და სახეზე რაღაცნაირი მოუსვენრობა ეტყობოდათ.

— წავიდეთ, საშა, აქ მთვრალებია.

— არაფერია. ჩვენ არას გვერჩიან. აი, კუთხეში მივჯდეთ.

ტან-მაღალი, რუხ წამოსასხამში ქალი დაიძრა. ამას ისიც გაჰყვა, ვისაც საშას ეძახდნენ. სინათლეზე ქალის ლამაზი პირისახე გამოჩნდა და ვაჟის გრძელი თმები და მწვანე ტანთსაცმელი. სახით ის ინტელიგენტ-მუშას, ან უფორმო სტუდენტს წააგავდა. ქალს თავი თავისუფლად ეჭირა და თავისუფლადვე ლაპარაკობდა. სრულიად არ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ იმის ნალაპარაკევს სხვები გაიგონებდნენ. მის უბრალო სიტყვებშიაც კი ალერსი გამოკრთოდა. სწორედ მოწყალების დაი მოგაგონდებოდათ.

იატაკზე წამოსასხამი გაფინეს და ერთმანეთის მახლობლად დასხდნენ.

ცოტა ხანს უკან ნაზი, ბროლივით თეთრი ხელები ყმაწვილს ყელზე შემოეხვია.

— ძვირფასო, ხომ არა გცივა?

— სრულიადაც არა! — ალერსიანად მიუგო ყმაწვილმა.

მე კი მციოდა, ვკანკალებდი, ვიკრუნჩხებოდი ბნელს კუთხეში.

— ძალიან კი დასველდი, აი!—განაგრძო იმავე ხმამ შეკავებულის სიცილით.—რა საშინლებაა, ელვის დროს, ტყეში დარჩენა.

— რა არის აქ საშინელი? პირიქით, სასიამოვნოცაა. თქვენებს ხომ შენი ჯავრი არ ექმნებათ?

— რას დაჰყევ,—მიუგო ქალმა და სიხარულით გადიკისკისა, მაგრამ იმ წამსვე სერიოზულად განაგრძო:

— მართლაც, გასაოცარია, უშენოდ ერთი საათი რამდენიმე დღედ მეჩვენება. როდის იყავი შენ აქ?

— გუშინ.

— გუშინ? შეხედე, გუშინ! საოცრებაა! მე მეგონა, რომ ისინი... სტყუიან.

— ვინ ისინი?

— აი, ისინი, რომანებს რომ სწერენ.

— მართლა, შენ გაათავე კაუტსკი? ახლა სხვამა მთხოვა.

პასუხი არ გამიგონია. რამდენიმე წუთი შორიდან გულჩათხრობილი, ყრუ გუგუნი ისმოდა. ეს იყო სახალხო, თუ სწრაფი მატარებელი, რომელიც ამ პლატფორმასთან არ ჩერდებოდა. გუგუნი უფრო და უფრო მატულობდა. ცოტახანი კიდევ და პლატფორმის მარჯვენა მხრით ვეებერთელა, შავი ცეცხლის დევი მოვარდა და, გრიგალივით, საოცარის ქექა-გრიხინით თან წარიტაცა ვეებერთელა, მძიმე ვაგონები. განათებულ ფანჯრების ბრწყინვალე ზოლში ადამიანთ თავები ოდნავ მოჩანდნენ. პლატფორმიდან სჩანდა, რა საოცნებოდ გარბოდნენ მსუბუქი, თითქოს ფრთოსანი ბორბლები.

ერთის წუთით ჩამოვარდნილი სიჩუმე ბედნიერმა ახალგაზდა კიცმა დაარღვია.

და სასოწარკვეთილის, ყალბის ხმით სიმღერა დაიწყო:

— ცის სივრცეში მთვარე სცურავს ფერმკრთალი...

— სტყუი,—უმატებდა გაბრაზებული მოხუცი.

— გარშემო სამარის სიჩუმეა...

— კარგია სიჩუმე... ნუ კი ყვირი.

— აღარაფერს არ ვისურვებ, სატრფიალო...

— ისევე სტყუით. ერთ ჩარექას არ ისურვებთ?

— შენ გხედავდე... მხოლოდ... შენო...

დარჩება. ხოლო როცა ეს ასე იქნება, მაშინ სასწავლებლის ტიპსა და პროგრამას, თუნდაც ყოვლადვე სრული და უნაკლულოც იყოს, აღარაფერი მნიშვნელობა არა აქვს.

საკვირველია და თან სამწუხაროც, რომ ოდიშისა და იმერეთის მრავალ რიცხოვანმა სამღვდელოებამ ამ საყურადღებო გარემოებას ყურადღება ვერ მიაქცია, ანგარიში ვერ გაუწია და უკრიტიკოდ მიიღო ბიუროკრატიულ გეგმაზე შედგენილი პროექტი. ეს შეცდომა კი არ არის მარტო, არამედ სირცხვილია, დანაშაულია.

სამღვდელოებას უნდა სცოდნოდა, რომ ბიუროკრატიულმა რეჟიმმა ჩვენში ფილოსოფიაც გაალატაკა, ლოღიკაც გააკოტრა, პედაგოგიაც გააყალბა და თვით ქრისტეს მოძღვრებაშიაც ფილოსოფიკალია შეიტანა. ამიტომ საგანთა რაოდენობას თვალები არ უნდა აება სამღვდელოებისათვის, არამედ პირველ ყოვლისა უნდა ცდილიყო, რომ სასწავლებელი გაენთავისუფლებინა ბიუროკრატიულის მუხრუჭისაგან და იმით მართვა-გამგეობა თითონვე ჩაეგდო ხელში. ამის შემდეგ სხვა ყველაფერი ადვილად მოეწყობოდა და მოგვარდებოდა... შესაძლოა ეს მაინც ასე მოხდეს და საქმე გამობრუნდეს, რადგანაც ტფილისისა, თელავისა, გორისა და გურიის სამღვდელოებას სასულიერო სასწავლებელთა რეფორმის შესახებ ჯერ თავისი მსჯავრი არ წარმოუთქვამს. იმედია ეს უკანასკნელნი უფრო სიფრთხილით და გამჭრიახობით მოეკიდებიან ამ საკითხის გადაწყვეტას და სხვის ფეხის ხმას აგრე ბრმად არ აჰყვებიან. ბალი-ალობის დრო წავიდა და ეს ამბავი სამღვდელოებამაც უნდა ძალაუნებურად გაიგოს და დაიჯეროს, თორემ ბევრსაც ინანებს და ბევრსაც წააგებს.

ლ—შ.—

* * *

ჭიათურის
შავი ქვის მრეწველთა მერვე მორიგი კრება

27 სექტემბერს, დილის 11 საათზე, ქალაქის თეატრში, კავკასიის სამთა-მადნო მართველობის უფროსის თანაშემწის მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით გაიხსნა ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მერვე მორიგი კრება, რომელსაც როგორც მრეწველები, ისე გარეშე საზოგადოება ძლიერ ნაკლებად დაესწრნენ. სხვადასხვა დაწესებულებათაგანაც მხოლოდ სამი წარმომადგენელი მოსულიყო. კრებას საშინელი მოწყენილობა და უსიცოცხლობა ეტყობოდა; ასე გეგონებოდათ, ამ საზოგადოებას სრულიად არ აინტერესებს კრებაზე გასარჩევი საგნებიო. ეხლანდელ საბჭოს მოწინააღმდეგე პარტიიდან, რადაც მიზეზის გამო, კრებაზე იშვიათად დაინახავდით ვისმე.

კრების გახსნისთანავე თავმჯდომარემ მოკლე სიტყვით მიმართა საზოგადოებას, რომლითაც ურჩია მას დამშვიდებითა და აუჩქარებლად განეხილათ ყოველი კითხვა, რომელთაგან ბევრი მეტად სერიოზულია და თხოულობს დაკვირებით შემუშავებასო. ამ სიტყვის შემდეგ, წინადადება მისცა საზოგადოებას—ამოერჩია კრების მდივანი. ერთხმად არჩეულ იქმნა დ. ბ. მდივანი, რომელმაც ტყუილად კი არ დაიმსახურა ნაფიც მდივნის სახელი.

კრებამ დაავალა ინჟენერ კოლესნიკოვს წარმოდგენილ ვექილობებისა და ხმების შემოწმება.

იღ. კაკაბაძემ, რომელსაც არა ერთხელ აღუძრავს კითხვა კრებაზე ქართულად ლაპარაკის შესახებ, ამ დღესაც საჭიროდ დაინახა, ყოველგვარი სჯა-ბაასი ქართულ ენაზე სწარმოებდეს, რადგან საზოგადოების დიდმა უმეტესობამ რუსული არ იცის.

თავმჯდომარეც დაეთანხმა ბ-ნ კაკაბაძის აზრს, მხოლოდ მე ჩემის უფლებით არ შემიძლია გისმე ქართულად სჯა-ბაასის ნება მივცეო; ამისთვის, თუ საზოგადოება საჭიროდ დაინახავს, შუამდგომლობას აღძრავს სამინისტროს წინაშეო.

კრებამ ერთხმად საჭიროდ სცნო სამინისტროს წინაშე დღემდით ხსენებულ შუამდგომლობის აღძვრა, რაც 27 სექტემბერსავე იქმნა შესრულებული.

შემდეგ საზოგადოების სურვილით, რადგან კრებაზე წევრები ცოტანი იყვნენ და სხვა-და-სხვა ანგარიშებისა და მოხსენებების გაცნობაც ვერ მოესწრო საზოგადოებას, თავმჯდომარემ სხდომა მეორე დღის 10 საათამდის გადასდო.

შავი ქვის მრეწველთა მერვე კრებას სულ 18 საქმე აქვს განსახილველი. ამათგან უფრო საყურადღებო შემდეგია: ა) სოფელ ჭიათურის „პოსადად“ გადაკეთება და შემოკლებული თვითმართველობის შემოღება; ბ) გეგმის გადამღებ ბიუროს ორგანიზაცია; გ) რკინის გზაზე შავი-ქვის გადაზიდვის საქმის გასაუმჯობესებლად საშუალების გამოძებნა და სხვა-და-სხვა სარკინის-გზო და სანავთ-სადგურო კითხვები; დ) ახალ სამრეწველო გზების გაყვანა; ე) ჭიათურის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება; ვ) მაღნებში დასავებულ მუშების დაჯილდოვება; ზ) მრეწველთა საბჭოში მოსამსახურე პირთათვის საპენსიო კასის დაარსება; ჱ) შავი-ქვის რაიონის გამიჯვნის დაჩქარება; თ) ზრუნვა შესახებ იმისა, რომ შავი-ქვის მაღნები მალე არ დაცარიელდეს; ი) სხვადასხვა ანგარიშების და მოხსენებათა განხილვა და დამტკიცება; ია) სხვა-დასხვა მოსამსახურე პირთა არჩევნები და სხ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კრების გასახილველ საქმეების სია, ანუ, როგორც თვითონ უწოდებენ, „განსახილველ საგნებთა (?) პროგრამა“ ისეთის ქართული ენითაა დაწერილი, რომ იძულებული ხარ ჯერ ქართულიდან რუსულად გადათარგმნო, რომ აზრი გაიგო, და შემდეგ რუსულიდან ისევ ქართულად გადმოთარგმნო. ნუთუ არ შეიძლებოდა, რომ სია ქართველისათვის გასაგებ ქართულის ენით დაწერილიყო?!

* * *

შავი-ქვის მრეწველთა კრების მიერ ამორჩეული სარევიზიო კომისია, რომელსაც თ. ბ. სვანიძის თავმჯდომარეობით განუხილავს მრეწველთა საბჭოს 1903—1904 წლის მოქმედებანი, თავის საკმაოდ ვრცელს მოხსენებაში, სხვათა შორის, აღნიშნავს შემდეგს:

ა) აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ მოსამსახურეს საბჭოს მიერ მიცემული ჰქონდეს ინსტრუქცია, რომელშიაც განსაზღვრული უნდა იყოს მისი სამსახური, უფლებანი და ვალდებულებანი. ეს ძლიერ გაადვილებს საბჭოს და მას ორგანოების მუშაობასა და ნამუშევრის გასხილვას. ამჟამად კი მოსამსახურეებს ასეთი ინსტრუქცია არა აქვთ, რის გამო ყოველი მათგანი თავის ჭკუითა და შეხედულებით აკეთებს ამა თუ იმ საქმეს.

ბ) აუცილებლად საჭიროა, რომ შემუშავებულ იქმნეს საბჭოსათვის ეგრედწოდებული „ნაკაზი“, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს წევრთა უფლება-ვალდებულებანი და განაწილდეს მათ შორის სამუშაო. ამჟამად კი მრეწველთა კრების აღმასრულებელ ორგანოს, ე. ი. საბჭოს, ყველა უფლებანი და ვალდებულებანი მხოლოდ საბჭოს თავმჯდომარის ხელშია თავმოყრილი. დანარჩენი წევრები კი მარტო თათბირში იღებენ მონაწილეობას, საბჭოს ან კრების დადგენილებაში კი აქტიურს მონაწილეობას არ იღებენ. უფლება-მოვალეობათა ასეთი გამოურკვევლობა ძალზე ტვირთად აწვება საბჭოს თავმჯდომარეს და საქმის წარმატებას ძლიერ აფერხებს. კომისია დამნაშავედ სცნობს თვითონ მრეწველთა კრებას, რომელმაც მუდმივი კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო არ აირჩია, არამედ, ნაცვლად იმისა, დაავალა თავმჯდომარეს, სხვადასხვა კითხვების გასახილველად დრო-გამოშვებით მოიწვიოს საბჭოს წევრები, რისთვისაც უგასასყიდლოდ ეძლევათ დღიური ჯილდო. თავმჯდომარემ რომ ყოველ დღეს მოიწვიოს სამუშაოდ საბჭოს წევრები, მგონი, მრეწველთა კრების მთელი საშუალება მათ დასჭირდეთ დასაჯილდოვებლადო. ამისათვის კომისია საჭიროდ სცნობს საბჭოს ამგვარ რეორგანიზაციას: უნდა შემცირდეს საბჭოს წევრთა რიცხვი (ამჟამად ხუთი წევრია); დაენიშნოთ მათ მუდმივი სამსახური; განაწილდეს მათ შორის სამუშაო; შრომის მიხედვით დაენიშნოთ მათ განსაზღვრული წლიური ჯამაგირები და სხ.

გ) საბჭოს საქმის წარმოების შესახებ კომისია აღნიშნავს, რომ ბევრს ოქმს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი არ აწერს ხელს; ზოგიერთს ოქმზე არც ერთი წევრი არ აწერს ხელს; ოთხი სხდომის ოქმი კი მთლად დაკარგულა. კომისია საჭიროდ სცნობს, რომ საბჭოს სხდომების ოქმები იწერებოდეს ზონრიანს შემოწმებულ წიგნში, როგორც ეს 1903 წლამდის იყო.

დ) შემდეგ ნაჩვენებია, რომ საბჭოს ძირიანად არა აქვს დაყენებული სტიპენდიების საქმე: სტიპენდიის სახელით ბევრისათვის ერთდროული დახმარება აღმოუჩენიათ, ან ვადით გაუსესხებიათ ფული და ისიც სტიპენდიების ანგარიშში ჩაუწერიათო და სხ. კომისია საჭიროდ სცნობს, რომ ყოველ სტიპენდიანტისათვის ცალცალკე იქმნეს შედგენილი საქმის წარმოება, სადაც, სხვათა შორის, ისიც უნდა აღინიშნოს, თუ როგორ მეცადინეობს სტიპენდიანტი.

ე) როგორც მოხსენების შემდეგი მუხლიდან სჩანს, საბჭო ხშირად ჯერ იწყებდა თურმე გზების მუშაობას და მხოლოდ რამდენისამე თვის შემდეგ ადგენდა სამუშაოს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას.

ვ) საბჭოს არა აქვს შემოსავალ-გასავლის ანგარიშისათვის ერთი დაწესებული ფორმა, რის გამო ანგარიში ირევა და ძნელი შესამოწმებელი ხდება კასის მდგომარეობა.

ზ) კომისია საჭიროდ სცნობს, რომ მრეწველთა კრების უძრავ-მოძრავი ქონება, როგორც, მაგალითად: აბანო, საავადმყოფო, ცენტრალური სადგური, მუშების სადგომები და სხვა შენობები, და მათი მოწყობილება,—რომელიც ახლა ცეცხლისაგან დაუზღვეველი ყოფილა,—უსათუოდ დაზღვეულ იქმნეს.

ჱ) კომისია აღნიშნავს, რომ აბანოში საზოგადოდ საკმაო სითბო არაა; იატაკებსა და საჯდომებს სითბო არა აქვს გამჯდარი, რის გამო საშიშია იქ ბანაობა, რადგან ადვილად შეიძლება გაციებაო. კომისია შესაძლებლად სცნობს, რომ ის აუარებელი სითბო, რომელიც საკვამლე მილებიდან ჰაერში მიდის და იქ უსარგებლოდ იკარგება, გატარებულ იქმნეს მანქანებით იატაკებს ქვეშ; ამით იატაკებს, კედლებსა და საჯდომებს მუდამ გამოულეველი სითბო ექმნებათ.

თ) შემდეგ კომისია საჭიროდ სცნობს: საავადმყოფოსათვის დაქირავებულ იქმნეს საჭირო მოსამსახურეები; შემუშავებულ იქმნეს ინსტრუქცია დაშავებულ მუშების დაჯილდოვებისათვის და სპეციალურ ფონდის დასაარსებლად; დაენიშნოს საბჭოს კანტორის მმართველად ნამყოფის, აწ განსვენებულ ა. თ. ხანჯიშვილის ოჯახობას ერთდროული შემწეობა და სხ.

მოხსენებას ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე თ. ბ. სვანიძე, წევრნი: ა. იანოშვილი, ნ. ყიფშიძე და მ. კოლესნიკოვი.

* * *

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მერვე კრებას საბჭომ შემდეგი წიგნები დაურიგა: ა) მრეწველთა მეხუთე კრებაზე არჩეულ საბჭოს მოქმედების ანგარიში; ბ) მრეწველთა კრების შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1903—1904 წლების განმავლობაში, გ) ჭიათურის მცხოვრებლების სტატისტიკა; დ) სარევიზიო კომისიის ანგარიში, ე) 1905 წლის საბჭოს სავარაუდო შემოსავალ-გასავლის პროექტი და ვ) შავი-ქვის მრეწველთა სია, რომელშიაც აღნიშნულია, 1904 წლის განმავლობაში ვის რამდენი ქვა დაუმზადებია ჭიათურაში, ვის რამდენი გაუტანია ჭიათურიდან და ვის რამდენი საარჩევნო ხმა აქვს.

როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1903 წელში მრეწველთა კრებას ვარაუდით უნდა შემოსვლოდა: ა) საფუთო გადასახადიდან 132,500 მანეთი; ბ) სხვა წყაროებიდან—13,544 მან., ე. ი. სულ 146,044 მან.; ნამდვილად კი შემოსვლია: ა) საფუთო გადასახადიდან 184,949 მან., ბ) სხვა წყაროებიდან—14,339 მან.; ე. ი. სულ 199,288 მან. ამგვარად ნამდვილ შემოსავალს გადაუჭარბებია სავარაუდო შემოსავლისათვის 53,244 მანეთით.

ამავე დროს განმავლობაში, ვარაუდით, კრების ხარჯები უნდა ყოფილიყო 225,162 მან. ნამდვილად კი დახარჯულა—182,913 მანეთი, ე. ი. 42,249 მანეთით ნაკლები სავარაუდო გასავალზე.

1904 წელში სავარაუდო აღრიცხვით კრებას უნდა შემოსვლოდა საფუთო გადასახადიდან 132,500 მან.; სხვა წყაროებიდან—8,107 მ.; ე. ი. სულ 140,670 მანათი; ნამდვილად კი შემოსვლია საფუთო გადასახადიდან—158,564 მან, სხვა წყაროებიდან—9,688 მანათი; ე. ი. სულ—168,252 მან., ანუ 27,645 მანათით მეტი.

ამავე 1904 წლის განმავლობაში კრების ხარჯები ვარაუდით უნდა ყოფილიყო 228,990 მან. ნამდვილად კი ყოფილა—195,391 მან., ე. ი. 33,599 მანეთით ვარაუდით ნაანგარიშევ დასახარჯავ რაოდენობაზე ნაკლები.

გარდა ამისა, 1903 წლის დასაწყისში მრეწველთა კრების უძრავ-მოძრავი ქონება ღირებულა სულ 116,103 მანათად; წლის განმავლობაში შეუძენიათ კიდევ 41,555 მანეთისა; ამავე დროს განმავლობაში დაუხარჯავთ—9,104 მანეთისა; ასე რომ—1903 წლის ბოლოს, ანუ 1904 წლის დასაწყისს კრებას ჰქონია 148,535 მანათად ღირებული ქონება. 1904 წლის განმავლობაში შეუძენიათ კიდევ 47,929 მანათის ქონება, ამავე დროს დაუხარჯავთ—19,648 მანათისა. ამ გვარად 1904 წლის დასასრულს, ანუ 1905 წლის დასაწყისს, კრების უძრავ-მოძრავი ქონება ღირებულა სულ 176,835 მანათად.

ისარა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. ბ-ნ კოსოროტოვის პიესაში—„ნიაღვარი“—იმდენი რამ არის ახალი, რომ არ შეიძლება თანამედროვე ცხოვრებაში გულხმიერებით ჩახედულ კაცს გული არ მოეფონოს და ნეტარად არ აუძგერდეს. ჩემის აზრით, მიხეილ ხმარინის ოჯახი სრული განხორციელებაა რუსეთის სახელმწიფოსი, რადგანაც ორივეს ძლიერებას თანაბრად გამოეთხარათ ძირი. მიხეილ ხმარინი თვით ფესამდე ბიუროკრატია, ბიუროკრატი, რომლის სულსა და გულს ვერავითარი სიო ახალის ცხოვრებისა ვერ მიეკარება, ისეა გამოფიტული მასში მადლი კაცურ-კაცობისა. მიხეილ ხმარინი დარწმუნებულია, რომ ოჯახის წევრნი—ვაჟიშვილი და ქალი—იზრდებიან მისი რეჟიმის ატმოსფერაში, მორჩილნი მისი სურვილისა და ნებისა. მაგრამ შემცდარია: მას ქალს, ვარინკას, უკვე მოხვედრილი აქვს ზვირთი თავისუფალი ცხოვრებისა და იგი თანდათან ეძლევა ამ ზვირთის საამო დენას. ვაჟიშვილი ვალოდია ჯერკიდევ გამოურკვეველია, ცოტათი არ იყოს ზოგი რამ მამისებური მოსდგამს, მაგრამ მასშიაც განთესილია თესლი ახალი ცხოვრებისა. უცბად, მოულოდნელად ხმარინის ოჯახს წამოუქროლავს ნიავ-ქარი და მთლად შეარყევს მის მოჩვენებულ მყუდროებას. ეს ნიავ-ქარი ხმარინის ოჯახს ბორის პლახოვის სახით მოევლინება.

რა არის ბორის პლახოვი? თითონვე იძლევა ამ კითხვაზედ პასუხს: მე ვარ პატიოსანი ღარიბ ღატაკიო. ბორის პლახოვი თავისუფალი ნიავი, რომელიც გაბედულად დანავარდობს რუსეთის თვალუწვდენ ველ-მინდვრებში და თუმცა არა-რის მქონეა, მაგრამ ყველგან ჰპოვებს თავშესაფარს, ვინაიდგან ყველგან შეაქვს ცხოველმყოფელი სიო სიახლისა. იგი, ცოტა არ იყოს, მოიხიბლავს, რადგანაც პიროვნების თავისუფლებას მაღლა აყენებს ადამიანთა დამოკიდებულების ურთიერთობაზედ. იგი ამბობს: „გრძნობა საბრალულისა დიდი ნაკლია ადამიანისაო“.

აი, სწორედ ასეთი თავისნება და მებრძოლი ადამიანი დაეჯახება მიხეილ ხმარინს და პირველსავე შეტაკებაზე უკუაქცევს. შემდეგში იწყება ბიუროკრატიული დათმობანი,—რასაკვირველია, ხმარინის მხრით. სხვანაირად რომ ვერას გახდება,—იძულებულია დაჰყაბულდეს და ქალი მიათხოვოს პლახოვს.

საზოგადოების ყოველგვარ წრეში მოიპოვებიან ეგრეთ წოდებულნი ცხოვრების გარეშე მყოფნი ადამიანნი, ხორცშესხმულნი ცხოვრების ასპარეზზედ მომქმედ ჯგუფებისა. ის ადამიანნი მოგვაგონებენ ჩვენ ზღვის ამღელვარებულ ზედაპირზედ მსრბოლავ ნავს, რომელსაც ორთავე ნიჩაბი მოსტეხია და რომელიც უგზო-უკვლოდ დაცურავს აქეთ-იქით, ვიდრე რომელიმე უცბად წამოგორებული ზვირთი არ ჩაძირავს სადმე უფსკრულში.

ბ-ნ კოსოროტოვის დრამაშიაც არის გამოყვანილი ორი ამისთანა მომქმედი პირი—სერგეი ხმარინი და ნატაშა. სერგეი ხმარინისთანა ადამიანს [illegible] არც დედამიწაზედ აქვს, არც ცაზედ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მისი სამშობლო სივრცეა და ამიტომაც იგი მუდამ ტორტმანებს. ამ მუდმივ ტორტმანის დროს, იგი ხანდახან ისე დაბლა ეშვება, რომ ნამდვილ წუმპემდე აღწევს ხოლმე. ხანდახან-კი იმდენად მაღლა იწევს, რომ ზეცას ეღამუნება. და რადგანაც ერთიც და მეორე გარემოებაც ამა თუ იმ შემთხვევაზეა დამოკიდებული და არა მის ხასიათსა და პირადობაზედ, ამიტომ სერგეისთანა ადამიანი როგორც მებრძოლი, უვარგისია და ბრძოლის დროს ცხოვრებაში ვერავითარ პოზიციას ვერ დაიჭერს.

ნატაშა ცხოვრებისაგან გარიყული ახალგაზრდა ქალია, ღარიბ ღატაკი, მგზნებარე არსებაა, მაგრამ ჯერ-ჯერობით უმანკო. ნატაშა გამოდის იმ ბაზარზე, სადაც სხეულით ვაჭრობენ, მხოლოდ იმიტომ-კი არა, რომ ლუკმა პური მოიპოვოს, არამედ იმიტომ, რომ მთელი მისი არსება სიყვარულისადმი ისწრაფის. პირველ-დღევე შეხვდება სერგეი ხმარინს. ქალის კდემამოსილება, სიკეკლუცე, თითქმის სიბავშვე სერგეი ხმარინის არსებაში გააღვიძებს ერთ-ერთ მიძინებულ და მინელებულ ნაპერწკალს წმინდა გრძნობისას და თავს შეაკავებინებს იმ უწმინდურების წინაშე, რაც უნდა ბუნებრივად მოჰყვეს ამ ორ ადამიანთა შეხვედრას.

ბ-ნი კოსოროტოვი ცხოვრების ერთ ფარგალში აავსებს ყველა ზემოხსენებულ მომქმედთ და მათის ურთიერთ-შორის დამოკიდებულებით შექმნის ხლართს იმ დრამისას, რომელიც თავდება, რასაკვირველია, ახალგაზრდების გამარჯვებით. ახალგაზრდობაა ის „გაზაფხულის ღვარი“, რომელსაც ვერ უძლებს დახავსებული, დაჟანგებული წყობილება მიხეილ ხმარინის ოჯახისა. ირყევა, ირღვევა ეს ოჯახი და თვალნათლივად ვხედავთ ნიშნებს ახალის აღნაგობისას. ამავე „გაზაფხულის ღვარს“ ვერ უძლებს სერგეი ხმარინი, რომელიც ვერც წარმავალს გაამაგრებს ვერც აწმყოს შეუწყობს ხელს.

ბ-ნი კოსოროტოვი ღრმად დაჰფიქრებია ამ მოვლენას, მაგრამ გულის-ნადები თვისი შესაფერად ვერ განუხორციელებია დრამაში. ჯერ ერთი, უმთავრესი გმირი—სერგეი ხმარინი—ისეთ გარემოებაში მოაქცია, რომ ხელფეხი შეუკრა და საბრძოლო საშუალება არ მისცა. თავზედ მოახვია საშინელი ავადმყოფობა. ეს ავადმყოფობაა მისი მემბორკველი, განუშორებელი აჩრდილი უბედურებისა. ამის გამო მისი სულიერი და ზნეობრივი არსება საინტერესო როდია, როგორც საზოგადოებრივი ტიპისა. მისი მდგომარეობა, რაღა თქმა უნდა, სხვებსაც ეხება და სულ სხვა-გვარ მიმდინარეობას აძლევს ავტორის მიერ განზრახულ აზრს. სერგეი ნაყოფია წარსულისა იმით-კი არა, რომ იგი ავადმყოფია საშინელის სენით, არამედ ნაყოფია წარსულის ზნეობრივის ავლა-დიდებისა. და სწორედ ეს ზნეობრივი ავლადიდება ვერ არის მისდა შესახებ ავტორის მიერ დასურათებული.

ნაკლებად არის დასურათებული აგრეთვე უმთავრესი მებრძოლი ბორის პლახოვი. მას აკლია აღმაფრენა და ძლიერება, ურომლისოდაც იმ პოზიციას ვერ დაიკავებდა, რომელიც ცხოვრებაში უჭირავს.

ვერ ვუკიჟინებ ჩვენს მსახიობებს,—უხეიროდ წარმოადგინეს—მეთქი „გაზაფხულის ღვარი“. ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს პიესა საგანგებოდ ეთამაშნათ. აღსანიშნავია მაინც შესამჩნევი შეუსაბამობა თითოეულის მსახიობისა ცალკე და საერთოდ-კი ყველასი. თუ იქიდან დავიწყე, ვის იყო კარგი—მეთქი,—უნდა დავასახელო ბ-ნი მათირაშვილი (პლახოვი). მხიარული, გულწრფელი, მოსწრებული ლაპარაკში—პლახოვი თვალწინ წარმოგვიდგა ბ-ნ მათირაშვილის მიერ განპიროვნებული, იმ ზომამდე-კი, რამდენადაც ავტორის მიერ გამოურკვეველი ნაკვთნი ხასიათისა მსახიობს ხელს უწყობდა. გრიმი არ მომეწონა: ძალიან ჰგავდა ბ-ნი მათირაშვილი თავის თავს.

ბ-ნი გუნია მშვენიერი იყო სერგეი ხმარინის როლში—მხოლოდ...მეორე მოქმედებაში. მეტყველი იყო მისი ხმა გრძნობათა მრავალფეროვნებით ამ მოქმედების უკანასკნელ სცენაში. დანარჩენ მოქმედებებში მოისუსტებდა, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სადად, უბრალოდ, ან ირონიით უნდა ელაპარაკნა.

— ვის? ამ მახინჯს?.. ფუ,—ზიზღით გააფურთხა მოხუცმა.

— რად ამბობთ რომ ეგ მახინჯიაო! თქვენ თვითონ არ ხედავდით—რა საოცნებო პირისახე ჰქონდა?

— ლოთების საქმეა ასეთები. ახალგაზრდა ჩაფიქრდა და გადაჭრით წარმოსთქვა:

— ამ სიტყვების შემდეგ, მე თქვენი ნაცნობობა აღარ მინდა...

— თქვენი ნებაა.

მეორე მხრით ისმოდა:

— იყნოსე, საშა, რა საოცნებო სუნი აქვს.

— მე ვიყნოსე.

— არა, გენაცვა... კიდევ...

ყმაწვილმა ღონივრად ჩაისუნთქა ჰაერი და—ორივეს გაეცინა.

ბედნიერ ახალგაზრდაზე სიჩუმე ცუდად მოქმედებდა და ამიტომ მან მოხუცისებურ ირონიით განაგრძო:

— ჩვენ რომელი მატარებლით წავალთ?

— არც ერთით.

— როგორ?—გაიკვირვა ახალგაზრდამ,—რატომ რატომ—არ შეიძლება ვიცოდე?

— იმიტომ, რომ არ გაგიშვებენ. გეტყვიან—ლოთო, საითკენ, სად მიეთრევი?

— ვინაა ეს ლოთი? ვთქვათ—ორი ლოთი ვართ.

— ერთსაც წაგითაქებენ! იცინოდა მოხუცი.

— ჰო?

— ოქმსაც შეგიყენებენ.

— ჰო?—ახალგაზრდა კაცი უფრო და უფრო თვალებს აბრიალებს.

— დიაღ, ახლა კი დაჯექ, მეგობარო, და გული გაიგრილე, თორემ ავად გახდები.

ახალგაზრდა დაფიქრდა და გულიანად განაგრძო:

— ამას იქით მე თქვენ აღარ გცნობთ, რადგანაც მავნე ადამიანი ხართ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არა-ჩვეულებრივი ფორმულა მან ხმა-მაღალის სლოკინით დაათავა, მაინც სჩანდა, რომ ის გულ-მოსული იყო. ფერი წასვლოდა... მე მშვენივრად მესმოდა მიზეზი ასეთის მდგომარეობისა: ეს საყვარელ არსების კოცნისა და ალერსისგან დასმული ბეჭედი იყო. მაგრამ მოხუცი რას ბრაზდებოდა?

— რა მოღუშული ვინმეა, შევატყვე,—ჩემზე წაიჩურჩულა ქალმა. მე მესიამოვნა, რომ შემამჩნიეს, განსაკუთრებით ჩემი მოღუშული პირისახე რომ შეამჩნიეს. შემიბრალონ მაინც ამ კეთილ ადამიანებმა, მე, რომელსაც არა მესმის-რა სიყვარულისა.

— ბებია მოუკვდებოდა,—მოისაზრა ყმაწვილმა.

ეს მოსაზრება საოცარი სისულელე იყო. ბებიას გულისთვის ასეთნაირად რად მოვიღუშებოდი, ან რატომ მაინცდამაინც ბებიასა და არა ბაბუას გულისთვის?

— ხა, ხა, ხა!—ჩაიცინა ქალმა, მაგრამ ჩვეულებისამებრ იმავე წუთში სერიოზულად განაგრძო:—იქნებ, ავად არის, ჩვენ კი ვიცინით.

ეს ეპიტაფია იყო, რომლითაც მე ისევ ისეთი რამ მომაწერეს, რაც არ იყო და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს მოწყენილებას კიდევ უფრო გაეორკეცებინა მათი ბრწყინვალე მდგომარეობა. ისევ სერიოზული ლაპარაკი ჩამოვარდა. ლაპარაკობდნენ საზღვარ-გარეთზე, საექიმო ინსტიტუტზე, წაკითხულ და წასაკითხ წიგნებზე—და ამ ლაპარაკში ეშმაკ სხივის სახით ცელქი, გულის ამტოკი ლაზღანდრობა შეიპარა, ლამაზი, მსუბუქი, როგორც წითელ ღვინოს თავზე თეთრი პენო, მთელი ქვეყანა იმათ უბრალო რამედ მიაჩნდათ და უბრალო რამეც მთელ ქვეყანად. ახალგაზრდა, კეკლუცი, ლამაზი ქალი, ახალგაზრდა, გრძელ-თმიან ყმაწვილის ყოველ სიტყვას მეტის-მეტის ყურადღებით ისმენდა, მადიანად იცინოდა. თითქოს ყველაფერი—ეს მისი საყვარელი არსება, სასაცილო ლოთები, პირისახე მოღუშული ვაჟ-ბატონი,—ბებიაზე მგლოვიარე,—ყველაფერი ეს იმიტომ არსებობდა, რომ იმის ბედნიერება გაეორკეცებინა. ჩვენ მათ თვალში ცოცხლები არ ვიყავით, ჩვენ უბრალო აჩრდილივით ვიყავით უბრალო ნახატები.

— რა ჩქარა გარბის დრო?—ჩიოდა ქალი.

— ან, იქნება, ჩემი საათი წინაა?—პატარა ოქროს საათი დიდს ვერცხლის საათს დაუახლოვდა და ორივემ თავები დახარა, სჩანდა, საათებთან ერთათ სხვაც უნდა დაახლოვებოდა ერთმანეთს, რადგან დიდხანს არ გამორკვეულა, რომელი საათი იყო.

— მგონი, მართალია?—კრთომით გაისმა ქალის ხმა.

— მართალია!—დაამტკიცა ყმაწვილმა.

მართალია! რა ბრმები არიან ბედნიერები! ტყუილია! ათასჯერ ტყუილია! თქვენ დასწყევლით იმ დღეს, როცა ეგ თქვენი საათები ისე სწორედ წავლენ, როგორც ტანჯულებისა, ერთის წუთითაც არ მოგატყუებენ, გაგიგრძელებენ... გაგიგრძელებენ უბედურს, სამწუხარო, კაეშნიან წუთებს...

ღრუბლებმა გადაიარეს და პლატფორმის დასავლეთით ბრწყინვალე ზოლად გამოჩნდა მოწმენდილი ცა. წმინდასა და მსუბუქ ჰაერში მკაფიოდ გაისმა მახლობელ მიდამოდან როიალის ხმა, რომელსაც ცოტა ხანში რამდენიმე შეთანხმებული, მწყობრი ხმა შეუერთდა.

— წავიდეთ, ყური დავუგდოთ,—უცბად წამოხტა ქალი და სახელოში ხელი სტაცა ყმაწვილს, რომელსაც წამოდგომა ეზარებოდა.

წავიდეთ ჩვენც,—დეე, სულ გაცივდეს და დადნეს გული. კარგად მღეროდნენ, ისე, როგორც მღერიან ბედნიერები. მსუბუქი, ლამაზი ბარიტონი ალტაცებით, შეკავებულად ჟღეროდა, თითქოს ადასტურებდა იმას, რასაც გატაცებით ემდუროდა მაღალი, მკვნესარი ტენორი. ეს უკანასკნელი კი იმაზე იმდურებოდა, რომ დღე-და-ღამ განუწყვეტლივ „იმაზე“ ჰფიქრობდა.

— მარტო შენზე... ვფიქრობ ერთზე—ტიროდა ტენორი.

— ვფიქრობ ერთზე,—კაეშნიანად თანხმდებოდა ბარიტონი.

— მხოლოდ შენზე, ძვირფასოო!..—ჟღეროდა ცრემლიანად ტენორი.

— ძვირფასოო!..—ლბილად ადასტურებდა ბარიტონი.

— საფლავშიაც ჩავალ ისე, მარად ბედის მომდურალი...

— მარად ბედის მომდურალი,—საოცნებოდ დააკვნესა ბარიტონმა და ყველაფერი მიჩუმდა. ჩემს წინ ის ორი ნაცნობი არსება იდგა. როცა სიმღერა გათავდა, უცბად ამოიკვნესეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მე ისევ პლატფორმაზე დავბრუნდი. იქიდან სასოწარკვეთილი, უშნო ყვირილი ისმოდა ორის ადამიანისა, თითქოს მღეროდნენ. ახალგაზრდა ლოთს ვერ მოეთმინა და როიალის საოცნებო, სასიყვარულო მოწოდებაზე პასუხს იძლეოდა, როგორადაც შეეძლო.

— აღარაფერი... არ მაგონდება... მხოლოდ შენ მყავდე... ჩემო დიდებავ...

— სტყუით!—ბრაზდებოდა მოხუცი—თქვენ ერთი ჯოხი გინდათ თავში!

საბრალო მოხუცი! მესმის, რატომაც ბრაზდებოდა, იმას შეშურდა სხვის მდგომარეობა, ისე, როგორც მე.

მატარებლის გამოსვლის ზარიც დაარაკუნეს და ცოტა ხანში ყრუ გუგუნი გაისმა. ამ წუთში მომაშორებდა აქაურობას და სამუდამოდ თვალს მიმეფარება ეს დაბალი, ბნელი პლატფორმა, მხოლოდ მეხსიერება თუ შეინახავს ამ... ძვირფას არსებას. როგორც ცვარი ზღვაში, ისე დამემალება ის მე კაცობრიობის ცხოვრების ზღვაში და წავა, წავა თავის გზით ბედნიერებისაკენ, ცხოვრებისაკენ.

ხელახლად ქშინვა-კვნესით გამოჩნდა ბნელაში შავი დევი და ცოტა ხნით შეჩერდა. სიჩუმე ჩამოვარდა.

მთვრალები მართლაც არ შეუშვეს მატარებელში. მოხუცი გაბრაზებული ამბობდა:

— რა ამბავი? არ შეგვიშვეს?

— არაფერია, მეორეთი წავალთ.

— მაშინაც კისერში ჩაგვცხებენ.

ვაგონის შესავალზე ვიდექ გრძელ-თმიან ყმაწვილის პირდაპირ. ის თვალ-აურიდებლად უყურებდა მაღალს, საოცნებო არსებას, რომელიც ისეთისავე ყურადღებით ჩასჩერებოდა მას თვალებში.

მატარებელი დაიძრა.

— ნახვამდის, საშა,—სთქვა ქალმა.

— ნახვამდის,—მიუგო იმან.

— მშვიდობით,—ჩავიდუდუნე მეც ჩემთვის და თავი ჩავღუნე.

— ხვალამდის! ყრუდ მოისმა შორიდან.

— ხვალამდის! იყო ქალის პასუხი. „სამუდამოდ“, ჩავილაპარაკე ჩემთვის. „სამუდამოდ“, ვემშვიდობებოდი არე-მარის შავს სურათს. „სამუდამოდ“, სთქვა პლატფორმამაც და თვალს მიმეფარა.

ვაგონში შევალ... თორემ მცივა... ფიქრი ფიქრია და სლოკინი კი სლოკინი. ერთიც ჩემს უბის წიგნში უნდა ჩავიხედო: აბა ხვალ სად უნდა წავიდე დილა-ადრიან.

მ. კ—ი.

ტანისამოსი და გრიმიც არ შეესაბამებოდა. მხოლოდ მეორე მოქმედებაში ჰქონდა ძალიან მოხდენილი ტანისამოსი.

ქ-ნი ჩხეიძისა მეტის-მეტად დარბაისლობდა; მსახიობ ქალს აკლდა გრძნობიერება, სიხალისე და აღგზნებულობა იდეით გატაცებულ ადამიანისა. სახის მეტყველების შესახებ არას ვიტყვი, რადგანაც ამ მსახიობ-ქალს სახე ნაკლებად ემორჩილება.

ქ-ნს მდივანისას აკლია ბუნებრივობა, როგორც გარეგან მიხვრა-მოხვრაში, აგრეთვე ხმას კილოთა ბრუნვაში. არც მიმიკისათვის მიუქცევია ყურადღება. ამის გამო, ხშირად მისი უმოძრაო სახე სრულიად არ ეთანაბრებოდა ნატაშას სულის კვეთებას. პირველ მოქმედებაში შედარებით უკეთესი იყო, ვიდრე დანარჩენებში.

ბ-ნი ჩარკვიანი ნაკლებად ჰგვანდა დიდი ჩინოსანის და თავადის ოჯახის შვილს, ნებიერსა, მოხდენილსა, სხარტის მიხვრა-მოხვრით და ლაპარაკით. მეტის-მეტი ცივი ბუნებისაა ეს მსახიობი, იშვიათად ჰკიდებს ცეცხლი გრძნობით აღგზნებისა.

ბ-ნი კონსტ. ყიფიანი, მშვენიერი მისეილ ხმარინია. კარგი იყო ბ. დადიანიც ლაქიის როლში.

ხუბუაშვილის სურათი, ძალიან კარგი იქნებოდა, სრულიადაც რომ არ დაედგა ჩვენს დასს.

წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო.

ი.

რუსეთი

ფედერალისტების კრება. 28 სექტემბერს, პეტერბურგის უნივერსიტეტის დარბაზში მალოროს სტუდენტების კრება მოხდა. დარბაზში 9000 კაცზე მეტი დაესწრო. პირველმა ორატორმა აღნიშნა, რომ ეს მალოროსთა პირველი კრებაა რუსეთში მას შემდეგ, რაც მალოროსია რუსეთმა შეიერთაო, ე. ი. 250 წლის განმავლობაში მალოროსები პირველად იკრიბებიან რუსეთის დედა-ქალაქშიო და პირველად აცხადებენ საქვეყნოდ, რომ რუსეთის მონათესავე ერი გერი იყო რუსეთისა და არა მისი წევრიო. მეორე ორატორმა დასაბუთებული და სერიოზული რეფერატი წაიკითხა შემდეგ თემაზე: „უკრაინაში ავტონომიურ მოძრაობის გენეზისი“. ავტონომიური მოძრაობა უკრაინაში იმ დროიდან დაიწყო, როცა მალოროსებმა შეიგნეს, რომ მათსა და ველიკოროსების შორის განსხვავებაა. ამავე დროს ახლად დაბადებულმა წვრილმა ბურჟუაზიამ შეადგინა სხვადასხვა საზოგადოებები და დააარსა დაბალი სასწავლებლები, გიმნაზიები და სხ. იმ დროის მოძრაობას სარჩულად ედო ჯერ სარწმუნოებრივი იდეა, შემდეგეს სარჩული გამოეცალა და იმის ადგილი პოლიტიკურმა იდეამ დაიჭირა. ეს იყო გეტმანის ხმელნიცკის დროს. პერეიასლავის ხელშეკრულობის ძალით, მალოროსია ისე შეუერთდა რუსეთს, როგორც მისი თანასწორი ძმა. ამავე დროიდან იწყება მალოროსთა ინტელიგენციის ღალატი. ეს ინტელიგენცია ხალხს ჩამოშორდა და რუსეთის ინტელიგენციაში გაიხრწნა. მეცხრამეტე საუკუნის დროს დემოკრატიული მოძრაობა იწყობა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობას უწევდნენ შევჩენკო, კოსტომაროვი, კულიში და სხვ. მათი დევიზი იყო: ეროვნებათა თანასწორობა, წოდების მოსპობა და მალოროსიის ავტონომია, მაგრამ რუსეთის ცენტრალიზმს ეს ამბავი არ მოეწონა და მოძრაობის მეთაურები დააპატიმრეს. 1868 წელს მალოროსიაში რუსეთმა სასწავლებლები დაკეტა. 1876 და 1881 წლებში უმაღლეს ბრძანებით მალოროსიულ ენაზე წიგნების ბეჭვდა აკრძალეს. რუსეთში აღმოცენებულმა უკრაინის მოძრაობამ შესაფერი ნიადაგი მოიპოვა გალიციაში, სადაც დაარსდა მრავალი სასწავლებელი, კათედრები და უკრაინის აკადემია „შევჩენკოს ხსოვნის“ სახელით. დასასრულ რეფერენტმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მალოროსებმა მტკიცედ უნდა მოითხოვონ თავიანთ უფლებების აღდგენაო.

სხვა ორატორებმა დამსწრე საზოგადოებას მალოროსიაში არსებულ პოლიტიკურ პარტიების ისტორია გააცნეს. მთელ მალოროსიაში ყველაზე ძლიერი პარტია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია; მას მოსდევს პარტია პროლეტარიატისა, რომელიც თავის მხრით ორ ჯგუფად იყოფა—კონსტიტუციონურ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული.

დასასრულ, კრებამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„ჩვენ, უკრაინკლები, 28 სექტემბერს პირველად შევიკრიბენით პეტერბურგში და დავადგინეთ: რადგან მშობლიურ ენის ხმარება სახელმწიფო და საზოგადობრივ დაწესებულებებში მძლავრი იარაღია ერის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისა; რადგან უკრაინას, როგორც ეროვნულ ერთეულს მრავალი საკუთარი ეკონომიური და სოციალური საჭიროებანი აქვს; რადგან არსებულ რეჟიმის გამო არავითარ ეროვნულ უფლებათა უზრუნველყოფა არ შეიძლება; ჩვენ ვთხოულობთ: 1) დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით; 2) უკრაინის ავტონომიას ფართო დემოკრატიულ ფედერალურ საფუძველზე. (ნ.).

◆ **ძველი პოლიტიკა.** ფინანსთა სამინისტროს განზრახული აქვს შემდეგი „რეფორმა“: იმ ადგილებში, სადაც ებრაელები ცხოვრობენ: ფულის შემნახველ საზოგადოებების საბჭოსა და გამგეობაში სამი წევრი უეჭველად ქრისტიანი უნდა იყოს (ე. ი. არა ებრაელი), საზოგადოებების მზრუნველები და საკრედიტო დაწესებულებათა საბჭო-გამგეობის თავმჯდომარე უეჭველად ქრისტიანნი უნდა იყვნენ (ე. ი. არა-ებრაელი); ზემოხსენებული წესი შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ იქ, სადაც ებრაელები მცხოვრებთა 80%-ს შეადგენენ. მაგრამ რადგან მთელ რუსეთში ებრაელები არც ერთ დაბა-ქალაქში 80%-ს არ შეადგენენ, ამიტომ ფაქტიურად ეს შეზღუდვა ისევ ებრაელებს ეხება.

ეს პროექტი პლევეს დროს იყო შედგენილი, განხორციელება კი ახლანდელ ფინანსთა მინისტრს ერგო. ასეთი ამბავი ხდება საერო წარმომადგენელთა მოწვევის წინა დღეს (ნ.).

◆ მოსკოვში მოხდარ გაფიცვის დროს, შემდეგი ამბავი მოხდა: ლიბრეხტის ქარხნის მუშათა უმეტესობამ მუშაობაზე ხელი აიღო, ხოლო უმცირესობამ გაფიცვაზე უარი განაცხადა და მუშაობა განაგრძო. უმეტესობა ქარხნის კარებს მიადგა და ეზოში შესვლა დაიწყო, მაგრამ უცებ კარები მიიხურა და შიგ შესულები პოლიციის ხელში მოჰყვნენ. შიგნიდან მოისმა ყვირილი: „ძმებო, გვიშველეთ! ნუ გვტოვებთ მარტოო!“ გარედან მუშებმა სროლა ასტეხეს და **მოჰკლეს** ერთი საპოლიციო-უბნის ზედამხედველი და 1 პოლიციელი; რამდენიმე პოლიციელი დაიჭრა. ცოტა ხნის შემდეგ კაზაკები და ჟანდარმებიც მოვიდნენ, მაგრამ მოკლულ და დაჭრილ პოლიციელების მეტი ბრძოლის ველზე ვერავინ ნახა (ნ.).

◆ 27 სექტემბერს მოსკოვში გაფიცულ **მუშათა წარმომადგენლების კრება მოხდა.** პირველად ლაპარაკი კორესპონდენტების შეშვებაზე დაიწყეს, მაგრამ მაშინვე ერთი აყალმაყალი ატყდა. მუშები აცხადებდნენ, „მოსკ. ვედ.“-ს, „დენ“-ისა და „რუს. ლისტ.“-ის თანამშრომელთა მოწვევა არა თუ სასურველი, არამედ მავნეც არის, რადგან ყოველდღე ზემოხსენებული გაზეთები მუშათა განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰკიცხავენ და რუსეთის მუშებს მოღალატეებს უძახიანო. კრებამ დაადგინა ზემოხსენებულ გაზეთების გარდა დანარჩენ გაზეთების თანამშრომლები მოიწვიოს (ნ.).

◆ პეტერბურგში, სადაც 1½ მილიონზე მეტი მცხოვრებია, სულ 8500 კაცს აქვს **საარჩევნო ცენზი** სახელმწიფო სათათბიროში, ე. ი. თითქმის 2000 კაციდან ერთს აქვს საარჩევნო ხმა. ცენზიანების უმეტეს ნაწილს სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირები და ბიუროკრატები შეადგენენ. 8500 კაციდან 480 ებრაელია, 40 მაჰმადიანი, დანარჩენი—რუსები არიან (ს. ო.).

◆ სევასტოპოლის საზღვაო-სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე გენერალი ანდრეევი **სამსახურს თავს ანებებს.** მიზეზი ის არის, რომ ანდრეევის თავმჯდომარეობით სასამართლოს ოთხ მატროსს დახვრეტა გადაუწყვიტა და ამასთან დაადგინა, ხელმწიფეს სასჯელის შემცირება ეთხოვოსო, მაგრამ ზემოხსენებული თხოვნა ადმირალმა ჩუხნინმა ხელმწიფეს არ გაუგზავნა, და მატროსების დახვრეტა ბრძანა, რაიც აღსრულებულ იქმნა (ნ.).

კორესპონდენცია

სოფ. ქვიშხეთი (გორის მაზრა). თუმცა სოფ. ქვიშხეთში გლეხთა მოძრაობა გამოიხატა მხოლოდ იმაში, რომ მემამულეებს ბოიკოტი გამოუცხადეს და სხვა არავითარი ძალ-მომრეობა, არავითარი ნივთიერი ზარალი არავისთვის არ მიუყენებიათ, მაგრამ შემდეგში ქვიშხეთმა მთავრობის სისასტიკე ყველაზე მეტად იგრძნო და ყველაზე მეტად აოხრდა.

ეს ერთი კვირაა, რაც სოფელს ეწვია 120 კაზაკი, ეგზეკუციად. ეგზეკუციის უფროსებს ნაბრძანები აქვთ, უწინარეს ყოვლისა, დააკმაყოფილონ თავ. გიორგი სუმბათაშვილი და ბ-ნი განზიელი, რომლებმაც გლეხებს ოქმი შეუდგინეს, ტყეები გადაგვიჩეხესო. ამას გარდა ნაბრძანები აქვს დააკმაყოფილონ ღალებითა და სხვადასხვა-გვარ გარდასახადებით დანარჩენი ყველა მემამულეები, ვინც უკმაყოფილებას განაცხადებს, და ამას გარდა სოფელმა უნდა გადაიხადოს სკოლისა, მამასახლისისა, მწერლისა, კანცელარიისა და სხვადასხვა-გვარი სახელმწიფო გარდასახადები, სანამ ყველა ეს არ შესრულდებაო—განაცხადა ეგზეკუციის უფროსმა—სანამ ყველა მემამულე, ხელ-წერილს არ მომცემს, რომ იგი სრულიად დაკმაყოფილებულია, სანამ მამასახლისი არ განმიცხადებს, რომ ყველა გარდასახადი აკრეფილი აქვს და სანამ აგიტატორებს ხელში არ მომცემთ, მე აქედან ფეხს ვერ მოვიცვლიო. როგორც ჰხედავთ ყველა ამას დრო უნდა, მანამდინ კი 120 კაზაკი, ორი ოფიცერი (ღმერთმა უშველოს თავ. სუმბათაშვილს, ამ ორი კაცის ხარჯი სოფელს ააცილა და დღე-და-ღამ თავისთანა ჰყავს) და 120 ცხენი სოფელმა უნდა არჩინოს.

პირველ დღეებს კაზაკები რომ შეერია სოფელს, საზარელი სანახაობა იყო. მოხუცნი, ორსული ქალები, ერთი თვის მწოლიარე ავადმყოფნი, დიდი, პატარა შიშით მოცულნი, წივილ-კივილით, თმა-გაწეწილნი, უგზო-უკვლოდ სახლებიდან გამოცვივდნენ და ზოგმა ტყეს მიაშურა, ზოგმა აზნაურშვილების კარებს, ზოგიც სხვა სოფლებში გადავარდა. სოფელი დაიცალა. ძაღლებიც კი მოიკუნტნენ და სახლების ქვეშ შეცვივდნენ. ოჯახის პატრონნი კი იდგნენ გადაფითრებულნი და გულ-გრილად შესცქეროდნენ, როგორ გამოჰქონდათ კარში მისი ბავშვების წლიური სარჩო.

კაზაკებმა იმ დღეს დაირეკეს სოფლის საქონელი, ბინაზე ჩაიყვანეს და საუკეთესო ხარი წამოაკლეს.

მეორე დღეს სოფელი მივიდა უფროსებთან და სთხოვა, ოღონდ სოფელს ნუ დაარბევთ ხოლმე და გვიბრძანეთ, რაც გნებავთ, აქ, კარზე, მოგართმევთო. უფროსებმა გარდაუწყვიტეს გლეხებს დღეში შვიდი თუმანი და სოფელიც ყოველ დღე იხდის ამ ფულს, სანამ „ყველა არ დაკმაყოფილდება“.

სოფელი დიდს გაჭირებაში ჩავარდა. თავ. სუმბათაშვილი უჩიოდა ტყის ზარალს 500 მან., ბ-ნი განზიელი—400 მან. ახლა იანგარიშეთ სახელმწიფო და საზოგადო გარდასახადები, ახლა ღალები, ახლა ნადელის ფული და ზედმეტი კიდევ დღეში შვიდი თუმანი. თავზარ-დაცემულმა სოფელმა მიმართა ადგილობრივ მემამულეს, მიხ. ქაიხ. ყიფიანს და სთხოვა, მოგვიხერხეთ როგორმე ეს შვიდი თუმანი დღეში მაინც თავიდან აგვაცილეთო. მ. ყიფიანმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა იგი შეეცადა მოერიგებინა გლეხები ბ-ნ განზიელთან და თავ. სუმბათაშვილთან. განზიელი, როგორც იყო, ოცდაათ თუმანზე დაიყოლია და სოფელი შეუდგა ფულის მოგროვებას. მ. ყიფიანი და სოფლის არჩეული ორი გლეხი დღე-და-ღამ სამი დღის განმავლობაში დადიოდნენ გლეხებიდან თავად-აზნაურებთან, და თავად-აზნაურებიდან გლეხებთან, რომ საქმე მალე გაერიგებინათ და ეგზეკუცია თავიდან მოეშორებინათ. განზიელ. შეუგროვეს რის ვაი-ვაგლახით 15 თუმანი, დანარჩენი მ. ყიფიანისა და რამდენიმე შეძლებული გლეხის თავდებობით ერთ კვირაზე უნდა ჩაებარებინათ.

ბ-ნმა განზიელმა მიტანილი თხუთმეტი თუმანი აიღო ხელში, გლეხებს უკან გადასცა და უთხრა: ღმერთმა ნუ მომახმაროს და ნუ შემარგოს თქვენი ფულიო, აიღეთ ეს 15 თუმანი და სოფლის საზოგადო საქმეს მოახმარეთო, დანარჩენი 15 თუმანიც მიპატიებია, მხოლოდ ჩემს დაუკითხავად ტყეში ნუღარ შეხვალთო. ამას გარდა ბ-ნმა განზიელმა სოფელ ტაშისკარის მცხოვრებთ მიუზომა და დაუმტკიცა 200 დღის მამული ტყე და სახნავი მიწა, ბანკის ვალით. ეს ვალი გადიხადეთ და ღმერთმა მოგახმაროთო.

სოფლის დეპუტატებმა დიდი მადლობა უძღვნეს ბ. განზიელს და ახლა თავადისკენ გაემართნენ. მაგრამ თავ. სუმბათაშვილმა 500 მ. სრულად გადაახდევინა...

ჯერი მიდგა ახლა დანარჩენ მემამულეებზე. იმ დღესვე შუა ღამისას შეიყარნენ აზნ. ყიფიანები და ციმაკურიძეები და დაადგინეს, ხელ-წერილი მიეცათ ეგზეკუციის უფროსისთვის, რომ გლეხებისაგან სრული კმაყოფილება მიიღეს და, როცა ეგზეკუცია წავა, გლეხებს როგორც იქნება ღალებზე მოურიგდნენ. ამასთან გადასწყვიტეს გლეხებს ღალები დაუკლონ. აქამდისინ გლეხი დღიურზე იხდიდა სამ კოდს ჰინახულს, სამ მუშას, ან მუშის ფულს და ორ ჩანახ ღვინოს ამჟამად ყიფიანებმა, ციმაკურიძეებმა და ნევსაძემ გარდასწყვიტეს დღიურზე ორი კოდი გადაახდევინონ და სხვა აღარაფერი, ამასთან სარწყაო ჩანახი ოც-გირვანქიანი დააწესეს (აქამდის ოცდაშვიდ-გირვანქიანი იყო ხმარებაში).

მემამულეებთაგან რომ გაათავეს საქმე, სოფელი შეუდგა სხვადასხვა გარდასახადების ფულის შეგროვებას. სოფელი მზად იყო თავის ზამთრის სარჩო გაეყიდნა ნახევარ ფასად, ოღონდ კი ეგზეკუცია მოეშორებინა. ბოლოს, როდესაც ეგზეკუციის უფროსმა მიიღო ყველასგან ხელწერილი სრულ დაკმაყოფილებისა, დეპეშა მისწერა გორში პოლკ. ალფტანს და პასუხს ელის. როდის მოვა ეს პასუხი, ღმერთმა იცის. მანამდინ კი სოფელი იხდის დღეში შვიდ თუმანს.

ასეთივე დღე დაადგა სოფ. გალმა—სათივეს. ეს სოფელი ეკუთვნის თავ. დ. აბაშიძეს, რომელიც ერთ დღეს ოცდა ათი კაზაკით დაესია ამ სოფელს, საქონელი დაიტაცა და სოფ. ქალაში ჩარეკა. იქ ორი ხარი დაკლეს სადილისათვის, დანარჩენნი კი უკანვე დაუბრუნეს პატრონებს, როდესაც ორმოცი თუმანი გადაიხადეს.

ქვიშხეთელი.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

3 ოქტომბერი.

პეტერბურგი, 3 ოქტომბერი. ოფიციალური. პეტერბურგის გრადონაჩალნიკისაგან. 2 ოქტომბერს გამოასვენეს გვამი მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორად ყოფილის თავადის ტრუბეცკოისა დიდის მთავრის, ელენე პავლეს ასულის სახელობის კლინიკიდან, რომელიც კიროჩნი ქუჩაზე იმყოფება. გვამი ნიკოლოზის სადგურზე უნდა მოესვენებინათ. რადგანაც გავიგეთ, რომ დემონსტრაციის მოხდენას აპირებდნენ, წინდაწინვე ყოველი ზომები ვიხმარეთ წესიერების დასაცველად. კუბოს რამდენიმე ათასი სტუდენტი, კურსისტკა და მუშა მისდევდა. წესიერებას იცავდნენ თვით სტუდენტები, რომელთაც წრე გაეკეთებინათ. კორტეჟს განცალკევებით მისდევდა დიდი ჯგუფი მოწაფეთა და მუშებისა. სუვოროვის პროსპექტზე რომ გავიდნენ, ამ ჯგუფში მარსელიეზის სიმღერა დაიწყეს. ამასთანავე ერთმა მათგანმა დანით მსუბუქად დასჭრა ფეხში ჟანდარმის ოფიცერი. სტუდენტებისა და პოლიციის თხოვნით მარსელიეზას სიმღერა შესწყვიტეს, მაგრამ ზნამენის მოედანზე კვლავ მარსელიეზას ხმა გაისმა. როდესაც თავადის გვამი ვოგზლის ეზოში შეასვენეს ზნამენის მოედანზე მოისმა სტვენა-ყვირილის ხმა, აქვე ვიღაც უცნობმა რევოლვერი დასცალა, თუმცა ვნება არავისათვის მოუტანია. ამის გამო ცხენოსანი პოლიციელნი და ჟანდარმები იძულებულნი შეიქმნენ ხალხი გაეფანტათ. ჟანდარმებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ კი არ უხმარნიათ. როდესაც მატარებელი წავიდა, რომელზედაც ტრუბეცკოის გვამი ესვენა, ვაგზლიდან გამობრუნებულმა ხალხმა — ასე ორი ათასამდე კაცმა—კვლავ მარსელიეზა შემოსძახა და ნევის პროსპექტისკენ გასწია. ზნამენის მოედანზე ერთი ნაწილი კი ისევ დემონსტრატიულად მიდიოდა ქუჩაზე, მღეროდა და წითელ დროშებს აფრიალებდა. გამოწვეულმა ცხენოსანმა ჯარმა, პოლიციელებმა და ჟანდარმებმა ხალხი დაჰფანტეს. ყაზანის ტაძართან ხალხმა პოლიციასა და ჟანდარმებს დაუშინა ქვები, ჯოხები, ცოცხები და სხვა ამგვარები. პოლიციის ხიდთან ჟანდარმთა დივიზიის ერთ ოფიცერს ქვით თავი გაუტეხეს. ამას გარდა ქვით დაშავებულ იქმნა 7 ჯარის კაცი ამავე დივიზიონისა. ნევის პროსპექტიდან დემონსტრანტები, ჯგუფ ჯგუფად უნივერსიტეტისაკენ წავიდნენ, გაიარეს სასახლის ხიდი და უნივერსიტეტთან მოგროვდნენ და უნივერსიტეტის შენობაში შესვლას ცდილობდნენ. აქა-იქ გამოჩნდა წითელი დროშები, ხალხი უსტვენდა, ხოლო, როცა მიმავალი პოლიციელები დაინახეს, ყიჟინა დასცეს და ქვები დაუშინეს. ორ გარადავოის თავი გაუტეხეს. ცხენოსანი პოლიციელები იძულებულნი შეიქმნენ ხმლები ეშიშვლებინათ და ხალხი დაეფანტათ, ხალხის ერთი ნაწილი კი უნივერსიტეტის აუდიტორიაში შეცვივდა. მძიმედ დაშავებული არავინ აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთა დაშავებულთა საჩივრისა გამო გამოძიება სწარმოებს.

მოსკოვი, 2 ოქტომბერი, დიდის ამბით დამარხა მოსკოვმა უნივერსიტეტის რექტორი თავ. ტრუბეცკოი. ნიკოლაევის ვოკზალთან ოცი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. მომეტებული ნაწილი ყმაწვილ-კაცობა იყო. სადგურზე იყვნენ გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ქალაქის მოურავი, საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე, ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ნათესავები და გარდაცვლებულის შვილები. კუბო ხელით გამოიტანეს, გვირგვინები ორასზე მეტი იყო, სხვათა შორის მოსკოვის ქალაქის თვითმართველობისაგან, მოსკოვის თავად-აზნაურობისაგან და ორი გვირგვინი სტუდენტებისაგან. ცხრა საათზე პროცესია დაიძრა. გვირგვინები მიჰქონდათ სტუდენტებს. პოლიციელები ქუჩაში არ ჩანდნენ. წესიერებას იცავდა ყმაწვილ-კაცობა. მგალობლები და ყმაწვილ-კაცობა მორიგეებით გალობდნენ „წმინდაო ღმერთო“-ს. თორმეტ საათზე პროცესია მიუახლოვდა უნივერსიტეტის ტაძარს. სამღვდელოებამ წირვა გარდაიხადა და ანდერძი აუგო. შემდეგ სტუდენტებმა და ნათესავებმა კუბო ხელით გამოიტანეს. პროცესიამ გაიარა ნიკიტის ქუჩა, ბულვარი და ზნამენკა, სადაც განსვენებული ცხოვრობდა, და აქედან დონის მონასტერისაკენ გაემართა.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. სამხედრო მინისტრმა ბრძანება გამოსცა, რომლითაც ჯარს უკრძალავს ზავის პირობების კრიტიკას, რადგან ომისა და ზავის გარდამწყვეტი მხოლოდ თვით იმპერატორია.

ვენა, 3 ოქტომბერი. მინისტრ-პრეზიდენტი ფეიერვარი ვაჰრობის მინისტრთან ერთად ბუდაპეშტიდან აქ მოვიდა.

კალუგა, 3 ოქტომბერი. მოუსავლობის გამო საერობო კრებამ დაადგინა, სთხოვოს მთავრობას 86,000 მ. სესხად.—ტრუბეცკოის გარდაცვალების გამო სამძიმარის დეპეშები გაუგზავნეს უნივერსიტეტებსა და განსვენებულის ქვრივს. ტრუბეცკოი—კაშირის მემამულეა.

ვოლოგდა, 3 ოქტომბერი. ვოლოსტების რწმუნებულთა კრებები, ამომრჩეველთა არჩევნებისთვის საგუბერნიო კრებაზე, ყველა მაზრისა და ქალაქებში დანიშნულია 20 ნოემბრისთვის.

პეტერბურგი 3 ოქტომბერი. 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ვისლის მხარეში (პოლონეთი) ხოლერით ავად გახდარა 18 კაცი, მათ შორის ათი მომკვდარა.

ბაქოდან დაბრუნებულ მუშებს ასტრახანიდანა და ცარიცინიდან გადიყვანებენ სამხრეთ აღმოსავლეთის გზით უფასოდ მესამე და მეოთხე კლასის ვაგონებით.

ადგილობრივი გაზეთები სამ დღეს არ გამოვა.

ლვოვი, 3 ოქტომბერი. საერობო მორიგმა კრებამ დაადგინა, არ მიიღოს ეგრედ წოდებული საზოგადო საერობო კრება, რომელსაც ექმნება ნება ილაპარაკოს მთელი რუსეთის ერობის სახელით.

ტრუბჩევსკი, 3 ოქტომბერი. გუშინ საერობო კრებამ ერთხმად დაამტკიცა, შეუერთდეს საზოგადო საერობო კრების რეზოლუციას სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

ბელგოროდი, 3 ოქტომბერი. ხმოსანმა გლეხებმა საერობო კრებას ერთხმად განუცხადეს, სახელმწიფოს დღევანდელ მოძრაობას შეგნებულად ვუყურებთ და სრულიად ვეთანხმებით რუსეთის ერობათა ერთ ნაწილის მიმართულებას, რომლითაც რუსეთის მთლიანობის პრინციპს უარ-ჰყოფენო.

იაროსლავლი, 3 ოქტომბერი. ლიცეუმში სწავლა დაიწყო. პირველ ლექციას მრავალი სტუდენტი დაესწრო.

ლონდონი, 3 ოქტომბერი. მთელი ღამე სცდილობდნენ ნავით დახმარებოდნენ რუსის გემს რიგადან „იენზუემ“-ს, რომლის მეზღვაურებმა განსაცდელის მიუხედავად, გემს თავი არ დაანებეს.

გამოფენაზე ლონდონში მიტანილია რუსის ლიკიორები. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, რუსის არაყი აქ ძალიან გავრცელდა.

4 ოქტომბერი.

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. ტრუბეცკოის საფლავზე, რომელსაც გარს ეხვია 10,000 კაცი, სიტყვა წარმოსთქვა მანუილოვმა, რომელმაც სთქვა, ტრუბეცკოის ხსოვნა რუსეთის საუკეთესო ადამიანებს აიძულებს ემსახურონ სიმართლეს, სამართლიანობისა და თავისუფლების იდეას. ამას გარდა სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორმა ლაპატინმა. ერთმა სტუდენტმა, გოლოვინმა, პროფესორმა ბაჟანოვმა და ჩუბინსკიმ..

ნიჟნი-ნოვგოროდი, 3 ოქტომბერი. ტრუბეცკოის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნა პანაშვიდი. გარდასწყვიტეს გაგზავნონ დეპუტაცია გვირგვინით. დაარსონ სკოლა, და თავადის სახელზე სტიპენდია.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. მოვიდა კომურა. ვოგზალზე დახვდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი. ქუჩები სავსე ჯარებითა, პოლიციელებითა და ჟანდარმებით. კომურა სასახლისკენ იმპერატორის კარეტით გაემგზავრა.

პეტერბურგი, 3 ოქტომბერი. დაიბეჭდა პორტსმუტის ზავის პირობების მთელი ტექსტი. დღეს სახელმწიფო საბჭოს პირველი კრება ჰქონდა.

ვაშინგტონი, 3 ოქტომბერი. სახელმწიფო დეპარტამენტს აცნობა ომის გათავება და წინადადება მისცა, გაანთავისუფლოს სან-ფრანცისკოში და კავიტში დაჭერილი რუსეთის გემები.

ტოკიო, 3 ოქტომბერი. ზავის ხელშეკრულობის შესახებ იმპერატორის რესკრიპტში ნათქვამია: ოცის ომის შემდეგ იაპონიის მდგომარეობა მკვიდრ ნიადაგზე დადგა, მისმა ინტერესებმა მოიგეს, რუსის რწმუნებულებმა მიიღეს მთავარი მოთხოვნილებანი. ზავის პირობები ჩვენთვის სასურველი იყო, ამიტომ ჩვენ მას ხელი მოვაწერეთ. რუსეთი ხელ-ახლა იაპონიის მეგობარი გახდა. ვისურვებთ, რომ მეზობლურმა კარგმა განწყობილებამ უფრო დაგვაახლოვოს ერთმანეთთან“ კომურამ იმპერატორისაგან გრამოტა მიიღო. იმპერატორი სიამოვნებას გამოსთქვამს ზავის ხელშეკრულობის გამო და სამსახურისთვის ბარონს მადლობას უძღვნის.

[illegible]

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი,

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევა. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში,
აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა“ № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგ ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის“ კანტორა, და „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და წიგნის მაღაზიაში „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძესთან.

Поступили въ продажу новыя книги
Г. Туманова:
КЪ ВВЕДЕНІЮ НА КАВКАЗѢ ЗЕМСКАГО САМОУПРАВЛЕНІЯ.
Сборникъ матеріаловъ, съ сибирскимъ проектомъ, ц. 20 к.
Характеристики и воспоминанія.
книга 2 я.
Содержаніе. И. И. Свѣдѣнцовъ (Ивановичъ).—В. Л. Величко.—Макс. Горкій на Кавказѣ.—Г. Сундукіанцъ.—А. Цагарели.—Еще объ А. Казбекѣ и З. Антоновѣ.—Д. Ведребисели.—Абс. Іоаннисіани Ис. Е. Питоевъ.—С. К. Зубаловъ.—П. Умикашвили.—А. Нанеишвили.—кн. Н. Д. Мингрельскій.—Итоги недавняго кавк. управленія (кн. Голицынъ).—Изъ театральныхъ воспоминаній, ц. 50 к, 1—1.

როიალები, პიანინო, ფისგარმონები.
გიტარები, გრამოფონები, ფლეიტები, სიმები,
კლარნეტები და სხ. და სხ.
ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.
მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ
კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საკრავებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—5.—6)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 4 Октября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის. ქ., № 5.